# ცისკარი

# 1861

## მაისი.

წელიწადი მეხუთე.

## როდება თხზულებათა:

I. — ნაამბობი მოხუცისა, (პოემა). . თ. რაფ. ერისთავისა.
II. — ნამდვილი შემთხვევა. . . სამ. აბაშიძისა.
III. — გამოსალმება. (ლექსი.) . . თ. გრ. ორბელიანისა.
IV. — თ. ილია ჭავჭავაძის კრიტიკაზე. კნ. ბარბარე ჯორჯაძისა.
V. — კახეთში მოგზაურობიდგან. . ივ. კერესელიძისა.
VI. — პირუტყუთა მოშენება. . . იოს. მამაცაშვილისა.
VII. — აზრი ყრმათა აღზრდაზე. . ალ. სულხანოვისა.
VIII. — წერილი რედაკტორთან შესახებ თ. ილ. ჭავჭ. კრიტიკისა. . თ. გ. ბარათაშვილისა.
— პასუხი თ. ილ. ჭავჭავაძის კრიტიკისა. . . . . თ. რევ. ერისთავისა.
— სხვა და სხვა ამბავი. (იხილე მეორე გვერდზედ).

---

ტფილისს.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

# ც ი ს კ ა რ ი

ქართული

# სალიტერატურო ჟურ-ნალი

გამოცემის ივ. კერესელიძის მიერ

მაისი.

წელიწადი მეხუთე.

«თუ შეიყვარო სმენად, — მიითვალო, და
უკეთუ მიუპყრა ყური შენი, — ბრძენ იქმნე»
(წიგ. ისო ზირ. თავი 6, მუხ. 34.)

---

ტფილისს.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში

1861

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბიბლიოთეკა

თბილისი
ბიბლიოთეკა

## მოწყალეო ჴელმწიფევ,

## უფალო რედაკტორო!

თქვენთან ჩემ მიერ გამოგზავნილს რვეუ-ლებში, სხვათა თხზულებათა შორის, ჩემ-სავე შეცდომით (როგორცა სჩანს), გამოჰ-ყოლია მოკლე პოემა, «ნაანბობი მოხუცისა», რომლისაც დაბეჭდვა მე არ მსურდა და რო-მელიც დაიბეჭდა ამ წლის «ცისკრის» პირ-ველს ნუმერში.

მისს დაბეჭდვას არ მოველოდი და არ მსურდა მისთვს, რადგანც მე იგი დავსწერე (ამ ექვსის წლის წინათ), გამოსაცდელათ ჩემის თავისა, შევიძლებდი, თუ არა მწერ-ლობაში მიბაძვას მაინც გამოჩენილთა და დიდათ საქებართა ჩვენთა ძველთა მწერალთა. დავსწერე, მარამ ვგრძნობდი რომ ჯერ

შორის ვიყავ მათ_თან დაახლოვებისა მწერლობაში და, გარდა ამისა, ჩემს ნაწერს აკლდა შალიაშინი, (როგორც ერთხელ ითქვა თქვენს ჟურნალში.)—რაც მოხდა_მოხდა და ამ ნაკლულოვანებით იქმნა დაბეჭდილი «ნაანბობი მოხუცისა.»—ახლა სხვა ველარა მოვიფიქრერა ამის მეტი, რომ შევასწორე რაც შემიძლებოდა და სადამდინაც ღონე მიმიწვდებოდა.—გიგზავნით ამ გასწორებულს პოემას და გთხოვთ მისცეთ მას ადგილი თქვენს ჟურნალში ხელ_ახლათ დაბეჭდვისათვს.—ესეც იქონიეთ სახეში რომელ ასოების დამწყობს, თქვენს მესტამბეს, ჩემს ცოდვებთან თავისებიც დაურთავს და ამით «ნაანბობი მოხუცისა» ცოტათ დამახინჯებული მე შეგვმენია.—იმედი მაქვს ახალი რვეული შესწორებს ჩემს საქმეს და შეუმსუბუქებს სნეულებას ახლად დაბადებულის გონჯისა, თუ მესტამბემ ჩუმათ წამლობა არ დაუწყო თავისებურათ.

დავშთები ქართულის ლიტერატურის და თქვენი ერთგული მოსამსახურე,

თ. რაფიელ ერის_თავი.

25 იანვარს, 1867 წელს. დ. ზუგდიდი.

## ნაანბობი მოხუცისა.

(მიბაძვა ძველებურთ მოლექსეთა.)

«... რა გითხრა შვილო მოხუცმა, თავს ბევრი
გარდამხდელია...
მოხოვ და გიამბობ მცირესა, ნუ გეგონები უბე-
დია...
სად არ ვთრეულვარ: მთა, ბარსა, სად გადმივლია
ქედია,
და ას გზის მინახავს მრისხანეთ, მომღიმარეთაც ბედია!
ერთსა ანბავსა გიამბობ მალა მიეცი სმენასა,
არ შემიშალო ბაასი, შენ ნუ გაარმევ ენასა,
მოგითხრობ ჩემსა ნახულსა დაწვლილებითა უკე-
ლასა
და ამაოდ ნურას მაუბნევ მამიშენისა ლხენასა.
როცა კელფეხი მერჩოდა, ომი მერჩივნა შინ
მილოსა,
თუ მქონდა ცხენა, წამალი, არ დავიდევდი შიმ-
შილსა,
წასვლის ვისწრაფდი ლაშქრათა, როგორც საცო-
ლო ქორწილსა

ჵ თოფი ჵ ხმალი, ცხენები მაშინ მერჩივნა ცოლ-შვილსა!
ერთხელ ვილაშქრეთ ქისტეთზედ, სადაც არღუნი მდინარებს,
კლდიდან კლდეზედ ხლტის, ღრიალებს, ჭყავს მხეცსა რასმე გმინარეს...
სოფელს მივედით ჩალმოსა, გარს შემოვერტყით მინარებს,
ჵ ზოგნი შეუხტის ციხესა, ქისტთ დავესხენით მძინარებს.

შეგვექნა ომი ფიცხელი, თოფის ცლა, ხმალთა ცრიალი,
ისმოდა ვაჟკაცთ ძახილი, ჩუქნზედ მოილეს გრიალი,
ქალთა დაიწყეს სიმღერა (*) ბალღებმა შექმნეს ღრიალი,
ჵ ბევრს აუტირეთ დედ-მამა დარჩნენ ვით ოხერ ცქიალი!...
რა ომსა მოვრჩით მშვდობით დავიმორჩილეთ სოფელი,
სარდალსა წიგნი მივსწერეთ, გავგზავნეთ მახარობელი...

---

(*) ომში ქისტის ქალები უტენენ კაცებს თოფებს და მღერიან სალაშქრო სიმღერებს.—

მეკი იქ ყოფნას ვინანი, არავარ ღმრთისა მეშო-
ბელი....
და სადაცკი ხვედრსა ვერიდე, მუნ დამხვდა დაუნ-
დობელი!

იქ ყოფნას ეხლაც ვინანი მაშინაც მენანებოდა,
მის_თვს რომ ვნახე ვაჟ-კაცი ტყვა გულს დას-
მეგრებოდა,
უცხო რამ გმირი, მამაცი, სანთელივითა ქრებოდა,
და მიველ და ზრუნვა დავიწყე, თუკი რამ ეწამ-
ლებოდა.

მან მითხრა: «ჩემო ბიძიავ, მსგავსო მამისა
ჩემისავ,
ნურასა სწუხარ, ამაოდ, შენ ჯაფა მოეცემისა,
აღსრულდეს ჩემზედ ბრძანება უფლისა ძლიერებისა
და ხამს დასანთქმელი დაინთქვას მსგავსად უმირო-
ემისა!»

მე უთხარ, შვილო, რას ივნებ, ნეცა წამლისა
გლესითა?
სულმოკლეობა არა სჯობს, თავს ვერ მოირჩენ
კვნესითა,
ბევრი მინახავს ჰყრობილი ჭირითა უარესითა,
და სჯობს გამაგრება, მხნეობა, მოთმენა ვაჟკაცთ
წესითა.

რა მომისმინა წამოჯდა, შემომღიმილა მწარეთა,

მითხრა: „ვხედავ რომ ვკვდები, ვაჟკაცებრ ლა-
შქრათ გარეთა,
მე სიკუდილს არას ვიშიშვი, ნუ მიცნობ ესრეთ
მდარეთა,
❧ თუ მოვკვდე ამასა გვედრი აქ მიწას მიმაბარეთა!
ამასდა ვარდა, მამაცო, მაქვს შენთან სახვეწარი,
ნუ დაივიწყებ გახსოვდეს ეს ჩემი საუბარი,
მეტყევ მიზეზსა, რისთვისაც სიცოცხლე გავიმწარე,
❧ მამასა ჩემსა უამბე, ვისგანაცა ვარ მკვდარი...“

---

„ერთხელ ვნახე ქალი ერთი, მე რა გითხრა
მისი ქება,
ნინა ჰქვან სახელათა, ვისთვის ეხლაც გული
კვდება,
მთელს ხმელეთზედ იმისთანა, ვფიცავ არსად იბა-
დება,
❧ მისის ხილვით მთვარე კრთება, მისი მუქით
ვარდი ჭკნება!
პირველათვე მე ნინამა კეთილი არ დამაყარა:
დავინახე, დამინახა, გულს ისარი გამიყარა,
გამიცინა, გახლცა მსწრაფელათ, გამირბინა, გამე-
ყარა,
❧ ერთის წუთის სიამოვნე მომისპო ❧ გამიმწარა!

რა გაგიგრძელო ამბავი მეორეს დღეს ვნახე ნინა,
მშვენიერმა გუშინდელებრ ისევ ტკბილათ გამიცინა,
მკითხა: «მამაო, ვის დაეძებ, საიდგანხარ ანუ ვინა?..»
და ვკადრე: «მზეო, შენსა მუქსა დავსდევ, შენი ჭვრეტა მინა!»

მან მითხრა: «ჩემი მძებნელი მიჰმართავს ჩემსა მამასა,
თუ იმას დაიყაბულებ გარდავხდის ერთა-ქამასა,
გჯეროდეს ჩემი სიტყვები, ფიცი არ უნდა ამასა...
და ეს სთქვა, მსწრაფლად გაბრუნდა, გული თან გაჰყვა ლამაზსა!

რა ვისმინე მე ესენი კვლავ ვახსენე ღმრთისა ძალი,
ნინოს მამას მოციქული გაუგზავნე, ვსთხოვე ქალი;
მან დასტური შემოსთვალა — მომივიდა კაცი მალი
და მეცის-მეცის სიხარულით წავბარბაცდი ვითა მთვრალი!

ხანი აღარ დააყოვნეს მეორეს დღეს წამიყვანეს,
დარბაზს ნინა შემოვიდა და სუცესიც დაიბარეს,
ჩვენ ბეჭედი მან გვიკურთხა: გაიხარეს, გამახარეს
და მაშინ ვკრეფდი ნინას ვარდთა: მალ-მალ ჩემკენ დაიხარნეს!....

ერთხელ მითხრა მე ნინამა: «მოდი ყური მომიპყარო,

ჩემი აზრი ესე არის, სჯობს რომ ეხლა გაღვარო:
თუ რომ გინდა საყვარელო, უფრო მეტად მე-
გიყვარო,
და ასახელე თავი შენი, თუ რომ გინდა რომ
გიქმარო.
გირჩევ წახვიდე ლაშქრათა უნდა იშოვო სახელი,
ყოველი სული გაქებდეს, არ გჯობდეს ერთი
კახელი;
თუ გაუკაცობას არა იქ, არავარ შენი მნახველი...
და წადი და მასახელე მე, მაფიცე შენი სახელი!»
ესე სთქვა და დამაშურა, ალარას დამაგვანა,
მითხრეს ჯარიც იყრებოდა და ქისტეთზედ მიდიანა,
წამოველ და ნინასათვის გულიდ-გან სისხლიც
მდიანა:—
და ადამის გვერდის ნამცვრევმა დახე რა დამა-
ზიანა!...
ვიცი მამაჩემს უანბობ წვრილად ამა საუბარსა,
ანუგეშე, უთხარ: ღმერთი მოგცემს სხუასა, კარგსა
ვაჟსა;
საბრალო თავში წაიშენს, ვით მოლხინე სცემდეს
ტაშსა;
და დაიჭი თორემ გაიგლეჯს თმასა, წვერს და
ულვაშსა!...

თუ მაჰხვდე სადმე ნინასა, უთხარ ვერ უზამ ქრმობასა,
ქვეშქნელს მივალთქო, იქიდ-გან ვინ შესძლებს ცრფიალობასა,—
უთხარ: გიორგიმ ასე სთქვა: «ზეცას ვიზამთქო მმობასა,
და სხვა მომეზნეთქო საფერი, ის ვიზამს გიორგობასა!»

კვლავ ჰკადრე ნინოს: «გიორგიმ ჰქმნა ვაჟკაცობა კახური,
ქისტეთში დარჩა ელჩათა, შინ დაითხოვა მსახური,
მიწას სჭამს, წვიმის წყალსა ჰსომს, მოძაგდა ღვნო და პური,
და მიწაა მისი დარბაზი, იგივე საწოლ-სახური!..»

რა ესე სთქვა, ცრემლი ღვარა წაუვიდა დაჭრილს გული,
მივეშველე, მოვაბრუნე, მარამ ვაჟკაცს ჰკლავდა წყლული....
—«მოვიკვდით»! შემომძახა ვერ გშველოდი მე ბედკრული,
და აქ პირჯვარი გადიწერა, განუტევა ესრეთ სული!...

---

ამის მნახავს მასაქეთ, თვალთა დამაკლდა ნინია,

მინდა რომ ვიყო ქორწილში არ მელხინების ლხინია,
ომისა, ვაჟკაცობისა, გაგრილდა ჩემში ჟინია...
და ვემდური ხვედრო, აქამდის, მეც რათ არ დამამინეა!...»

ამ სიტყვითა გაათავა ბერმა კაცმა ეს ანბავი,
დაიოხრა ცრემლი ღვარა, გაიქნია სამჯერ თავი,
სთქვა საბრალომ: «ღმერთო რის-თვის დამანაცრე მიწა შავი?!..
და მეც დამაფიქრა ამბავმა — მეტის-მეტათ იყო მწვავი...

თ. რაფიელ ერის-თავი.

---

# ნათარგმნი

## ნამდვილი შემთხვევა.

საჭიროდ არ ვრაცხ იტალიის აწერას, რადგანაც დარწმუნებული ვარ, რომ უმეცრესმა ნაწილმა მკითხველთა იცით სად არის ეს მშვენიერი ქვეყნის ნაწილი; და უფრო ეხლანდელ დროში ვინ არ იცით სად არის მშვენიერი იტალია, სადაც მოქმედებს უწარჩინებულესი მისივე მემამულე შვილი ღარიბალდი? —

იტალია მშვენიერი თავისის ადგილის მდებარეობითა, არის მდიდრად შემკული ყოვლის ნაყოფიერებით, რომელთაც მოჰყავთ განცხრომაში და ალაგებში მჭვრეტელნი. ამ მიზეზით არა ერთ გზის აწერილა სხვა და სხვა მწერლებთა და მოგზაურებთაგან ეს მშვენიერი ქვეყნის ნაწილი.

საშუალ აპენინის მთათა, სადაც ადგილის მდე-

ბარუობა ბუნებამ განასხოვა მშვენიერებითა, უმეტეს დანამთვენთა ნაწილთა იტალიისათა, ერთ მშვენიერ ქალაქში, დგას დიდ მშვენიერი ციხე დარბაზი, რომელიცა ჩუთა-სა წელსა ეკუთვნოდა მარკიზს—დე_სპინოსა. მარკიზი იყო დიდი მესტული ყმა ახალ ნეაპოლიტანის მეფე იოახიმ მიურატთან და ეჭირა უდიდესი ადგილი მის სასახლეში. იმა წლის ეკენისთვს მშვენიერს დღეში, იმ ციხე დარბაზისკენ მიემართოდა ერთი ყმაწვლი კაცი; სრული ყოვლის მშვენიერებითა, ტანისამოსი ეცვა მდიდრად შემკული ნეაპოლიტანის მეფის ლვარდიისა. სახე იმ ყმაწვლი კაცისა წარმოადგენდა კეთილობას და მხიარულებას. შემდეგ რამოდენიმე ხნის სიარულისა, მიაწია მან თავის სანატრელსა ადგილამდი, გადმოხტა ცხენიდგან, მისცა იგი ერთს მოხუცებულს კაცს მდგომარეს ჭიშკართან; თავათკი წავიდა მაღ_ალ ციხე დარბაზში. იმ დარბაზის წინ მშვენიერ მარმარილოს კიბეზედ ისხდენ რამოდენიმე მდიდრად ჩაცმული მოსამსახურენი. როგორცკი იცნეს მომავალი სტუმარი იმ წამსვე წამოხტნენ და ერთი იმ მსახურთაგან შეუძღვა დარბაზში. ღრაფის ყურადღება მიიქცია მდიდრად მოსილმა დარბაზმა, რადგან ყოველი ნივთი იქ მდგომარე სულ ძვირფასის და მშვენი-

ერების ხელოვნებით ნაკეთები იყო. თვითონ ღრაფი როშელიც იყო ნეაპოლიტანის მეფესთან მოსამსახუ-რე, მნახველი ნაპოლეონ პირველის სიმდიდრის და მრავალთ სხვა კელმწიფის სასახლეთა, გაოცებუ-ლი იყო ევროპის სიმდიდრის ნახვთა. მცირე ხნის შემდეგ გამოეგება მოხუცი მარკიზი თავის ქალით, მიესალმენ ერთმანერთს და სთხოვეს დაჯდომა ღრაფს ამ სიტყვებით: «საყვარელო მეგობარო! დღეს სრულებით არ მოველოდი, მაგრამ ჩანს რო გვზავნიან საქმე?»

სწორეთ მისვლით, უმოწყალესო კელმწიფეო, ერთი დღის ვადა კიდე მისცეს ჯარს აქ დარჩე-ნისა და ამ ხნის დარჩენით მე ვისარგებლე, წა-მოველ თქვენს სანახავათ და უფრო ჩემი საყვარ-ლის საცოლოსი მიუყვო გულმა. ვმადლობ სა-ყვარელო ღრაფო, რო თქვენ ასრულებთ თქვენს ვალდებულებას, როგორათაც შემფერის თქვენს გვარო-ვნობას, განუმეორა მარკიზმა. ეგრეთვე ქალმაც დაუ-წყო ლაპარაკი ღრაფსა და ღრაფმან შემდეგომ ბევრის მუ-საიფის ჰკითხა: «ჩემო სიცოცხლეო, ვგონებ ბე-ვრი ფიცით ჰრწმუნება საჭირო არ იყოს, რო ჩემი თავი შენთვს მაქვს შეწირული და მარადის იმას ვცდილობ, როგორმე გასიამოვნო; შენ წყენას ისე ვერიდები, და უფრო კიდე, როგორათაც

ღმერთის გმობას; მითხარი მართალი, გიყვარვარ თუ არა? თუ გიყვარვარ ხომ მომიცდი მობრუნებამდის? «ქალმა მიუგო:« რათ ხარ ეგრე ეჭვიანი, ხომ გითხარ ერთხელ, შენის მეტი ქმარი ღმერთმა მე ნუ მომცეს. და თუ ღმერთმან იმდონათ მომიმულა: შენ რამე გაგიჭირვა, მაშინ მე მოლოზნად წავალ შენის სულის სალოცავად.»— შემდეგომ ესეთის სიტყვებისა, ლრაფმა ებოლიმ წაიძრო მშვენიერი ზურმუხტის ბეჭედი, წამოაცო ქალს ნეკზედ, ამ სიტყვით: «ვთხოვ ყოვლად შემძლებელ ღმერთსა, რომ მე და შენი დანიშვნა ქმნას ბედნიერ. ეს ბეჭედი მაქუს მოცემული სიკუდილის დროს ჩემი დედისაგან, იმან მირჩია მიცემა ამ ბეჭედისა დანიშვნის დროს ჩემი საძლოსათვის». საღამოს მზის ჩასვლის დრომდის, შეექცეოდა იგი მასთან სხვა და სხვა ამბებითა, მაგრამ საღამოსკი დაიწყო მზადება წასასვლელად. მაშინ უთხრა მარკიზმა: «მჳლო, ხომ კარგა იცი რომ მამაშენი ფერდინანდი დიდი მეგობარი იყო ჩემი? მისი თხოვნა, რომელიც იყო სიკუდილის დროს შენი წარდგენა მეფესთან ავასრულე, ეხლა მეფეს ისე უყვარხარ შენ, რომ მეტი აღარ შეიძლება! განმართლე ჩემი იმედი შენზე; ყოველი ბედნიერება წინ გიძევს. ნუ დაივიწყებ,

რომ ეხლა მე შენი მამა ვარ, მსურს ყოველი სიკეთე და ბედნიერება შენთვის ჩემო საყვარელო ებოლი. დაგილოცავ მგზავრობას: ღმერთმა მოგცეს ყოველი სიკეთე და ბოროტს აგაცილოს, აწ შვილო წადი თორემ დროზე მიუსვლელობა ეწყინება მეფეს, კიდევაც ღამდება და ღამე სიარული ძნელია!» ღრაფმან მოახსენა დიდი მადლობა როგორც რიგია ამ შემთხვევის დროს, გამოეთხოვა და შემდგომ მიუბრუნდა თვალ ცრემლიანი ლოდოვიკას გამოეთხოვა მას ხელის კოცნით და დიდის ალერსით. შემდგომ ამა ანბისა გამოვიდა ღრაფი, შეჯდა ცხენზედ, რომელიც ეჭირა მომზადებული ერთს მსახურთაგანს, წამოვიდა ნელ-ნელა მწუხარის სახით. ყოველ ცხენის ფეხის გადმოდგმაზე ისვენებოდა უკან-უკან, რომ დაენახა სანატრელი საცოლე; ის იდგა აივანზე და უყურებდა საქმროს წასვლას — იმ ღამეს ლოდოვიკა დაჯდა აივანზე, მახლობლად მისის საწოლის ოთახისა, რომელიც ერთი მხრით დაჩერებოდა იწრო გზასა, მეორეთი კი ღრმა თხრილსა. დაიწყო მან მშვენიერს მთვარიან ღამეში ხელ საქმის კეთება; უნდოდა როგორმე გაეტარებინა დრო, შემდგომ საყვარლის მოცილებისა; ამ დროს მოესმა მას ფეხის ხმა, ფოთოლთ შრიალი, შეშინდა, გაუკვირდა და უწყო

მას გულმა ძგერა, უნდოდა კიდევ'ც დაეკრა, მაგრამ გააჩერა ნაცნობის ხმამ. დაიწყო ყურება იქით აქეთ და დაინახა სახე თავის საყვარლისა თხრილის ნაპირზე მდგომარის; დაუძახა: «თუ ღმერთი გწამს უკან დაიხიე, თუ არა თხრილში ჩავარდები, გაიჭირვებ რასმესო.—მაგრამ ის ამ მახილის დროს გადმოხტა, მოეხვა ქალს და უთხრა «საყვარელო, დღეს რაც შენ მოგცილდი, მას შემდეგ, შეშლილივით დავიარები გარეშემო ამ თქუენის ციხე დარბაზისა, არ შემიძლია წავიდე ნეაპოლში, სანამ არ განმიმეორებ სიყვარულის ფიცსა. შენს სიყვარულს ჩემზედ დაამტკიცებ მით, რომ მომცემ ნაჭერს შენის კაბისასო. ქალის ნებით ამოიღო ხანჯალი, მოსჭრა კაბა, მაგრამ მოჭრის დროს ცოცხათ მარცხენა ხელის თითი გაიჭრა და სისხლის წვეთი ქალს, ხელზე დაეცა. შეშინდა ქალი, შემოიხსნა უცებ ცისფერი სარტყელი წელიდგან და შეახვია მას. შემდეგომ მცირე ხნისა გამოეთხოვა და წამოვიდა იმავე გზით, რომლითაც მივიდა. მაგრამ ლოდოვიკომ მამას არაფერი არ უთხრა ამ შემთხვევისა.

როდესაც ღრაფი მივიდა ჯარში, მაშინ მიიწხმო მეფემ, მიანდო საქმე, მისცა საიდუმლოთ ბარათი, რომელიც უნდა მიეცანა საფრანგეთის

მხედრობისათჳს მაგრამ უნდაკი გაევლო საშუალ მტრის ჯარისა. მიიღო რა ყოველი ქაღალდები შეჯდა იგი თავის საყვარელ ცხენზე და წავიდა. როცა მიაწია მან მტრის ჯარის . მახლობლად, სიარულში დიდის კრძალვით რომ ის არ ჩავარდეს მტრის ჯარის ხელში, ამ დროს მოესმა მას კაცის ხმა შორე ახლოდგან; დაანება ცხენს სადა-ვე, თითონკი მოემზადა რომ გადარჩეს საშინელს განსაცდელს. მიუახლოვდა იგი ერთ პატარა წყალს, დააპირა გასვლა, მაგრამ დაესხნენ მას ორი კაცი, შეჰკრეს, აუხვიეს თვალები, ჩასვეს ნავში და წა-იყვანეს თვდაღმა წყალ-წყალ. შემდეგომ მცირე ხნის მგზავრობისა, გარდასვეს წყლის პირად ერთს პატარა სახლში, გახადეს ტანისამოსი, ჩააცვეს უბ-რალო და წაართვეს ყოველი მონდობილებითი ქაღალდები. ეხოლმა განვლო ორი ღამე დიდ ტანჯვაში, მისთჳს რომ ძლიერ მოშივდა და მო-წყურდა, მშველელი კაციკი არსად არიყო. იმო-დეხათ დასუსტდა რომ სიკუდილზე იყო მიწეული, თუ შემდეგ მცირე ხნისა ფეხი და ხელი არ შე-ეხსნათ. როცა მან იგრძნო ფეხის და ხელის შე-ხსნა დიდის გაჭირვებით სთხოვა მშველელთ წყლის დალევა; მათ დაალევინეს. მაშინ მოვიდა იგი გონზედ, განახილა თვალი, დაინახა გვერდით მდ-

ყომარე ყოყო და ათი წლის ყმაწვილი, ჰკითხა მათ: «ვინ შეგკრაო»? მაგრამ მათ მიუგეს, ჩუენ არაფერი არ ვიცითო. საქონელი გამოგვექცა აქეთ, ამ სახლში შემოვიხედეთ, დაგინახეთ ფეხ და ხელ შეკრულიო. ღრაფმა დიდი მადლობა უთხრა მათ. მწყემსებმა შეიპატიჟეს რძისა და პურის ჭამად; ემოლმა დიდის მადლობით გამოართვა მეტად დამშეულმა. მოსურეილდა რა დაიწყო ფიქრი «რა ვქნა ეხლა, გაუდგე ჩემს მგზავრობას, თუ მეფეს ვაცნობო ეს ჩემი უბედურებაო. მაგრამ ანკი, რო გაუდგე მათ სად ვნახავ; ისევ სჯობს მეფეს ვაცნობოო». ეს უკანასკნელი ფიქრი არჩია, და წამოვიდა. როცა მოაწია საფრანგეთის მხედრობასთან, მათ პაროლი მოსთხოვეს; თუმცა პაროლი უთხრა, მაინც დაიჭირეს ვითარცა შპიონი, მიჰგვარეს აფიცერს. მან უთხრა აფიცერს; რომ მე ვარ ღრაფი ქონილი, რომელიც ვიყავ გაგზავნილი მეფესაგან სხუა და სხუა მინდობილებით, მაგრამ მეწია უბედურება ვერ შევასრულე მისი ბძანებაო. აფიცერმა სიცილით უთხრა: «რას ამბობო, ის ღრაფი რა ხანია მოვიდაო, ყოველი მინდობილება აასრულებული მოუტანა მეფესო». ფიცულობდა რომ ის ცრუ ვინმე არისო; ნამდვილი მე ვარო. აფიცერმა უმაღლეს მთავრობას წარუდგინა, უკა-

ნასკნელად მიაწია მეფემდის. მეფე გაჰკვირდა, როცა ეს ამბავი გაიგონა; მოაყვანინა ლორდი. თუმცა სახე ლორდისა წამოადგენდა მსგავსებას უწინდელის მისის სახისას, მაგრამ როგორღა შეეძლო მეფეს მისი ცნობა, რომელსაც იგი დაფრეწილი ძონძიან ტანისამოსში ჩაცმული იყო და სახე მზისგან დამწვარი ჰქონდა. როდესაც შემოიყვანეს ცრუ მიმთვისებელი ლორდი, საწყალი ნამდვილი ლორდი გაჰკვირდა რომ, ერთი სიტყვით ის ცრუ ლორდი ყოველის ფრით მისი მსგავსი იყო და ლაპარაკითაც არვის შეეძლო მათი გარჩევა. კითხა ნამდვილმა ლორდმა: «ნუ თუ თქვენ ითვისებთ ჩემს ლორდობასო». ცრუ ლორდმა სიცილით უპასუხა: «დიდი მოხარული ვარ რო თქვენ თვითონ აპირებთ ჩემი გვარის მითვისებას, მაგრამ მომეცით ნება უარის ყოფისა, რადგანაც სამი და ოთხი ისეთი საყვარელი მყავს ამ ქვეყანაში რო მათი განაწილება არ შემიძლია თქვენთვისო». ამ სიტყვებმა მოთმინებისაგან გამოიყვანა ლორდი და გამოიწვია მან დუელში ცრუ ლორდი. მაგრამ ცრუ ლორდმან მიუგო: «ჩემს ხარისხს ისე ვერ დავამდაბლებ რო თქვენთან ვიკადრო ჩხუბიო». მეფემაც უბძანა ნამდვილ ლორდს: «ეხლა მიპატიჟებია ამისთანა საქმე შენთვის, მაგრამ თუკი

ძვლივ გაგიბედნია უეჭველია ძლიერ დაგსჯით. საწყალი ღრაფი გულ შეწუხებული, თვალ ცრემ-ლიანი გამოვიდა მეფის სახლიდგან. წავიდა თავის საცოლე ქალთან, მივიდა იმ ციხე დარბაზში, რომელიც აგვიწერია ზემო, მაგრამ მსახურნი არა თუ მიეგებნენ, სიცილიც დაიწყეს დახეული ტანისამოსით რომ დაუნახეს, უთხრა მათ, «მოახსენეთ მარკიზს, რომ ღრაფი ებოლი მოვიდა მათ სანა-ხავადო». მარკიზმა ბძანა მისი მოყვანა. ძალიან გაკვირდა იმ კაცის ნახვაზედ, მისთვის რომ მგ-ზავსი ნამდვილი ღრაფის სახისა იყო. დაუწყო გამოკითხვა ყოველი ამბისა. მაგრამ ამ დროს შემოვიდა ცრუ ღრაფი დაუყვრა. როგორ თუ გაგიბედნია თქვენ აქ მოსვლა? მეფემ აღგიკრ-ძალა აქ სიარული და თქვენცკი მობძანებულხარ ისევე? ესეთის სიტყვებზე მარკიზს ეჭვ შეუვიდა ნამეტურ. ვინ არ დაეჭვნდებოდა მათზედ. რადგან ისინი ძნელი გამოსარჩევნი იყვნენ ერთი მეორისაგან ისე საოცრად ჰგვანდნენ ერთი მეორეს. მაით-მინეთო უთხრა მარკიზმა, ჩემი ქალი უფრო გიცნობთო, რომელიც თქვენში ნამდვილი ღრა-ფიაო. გამოვიდა ქალი და პირდაპირ ნამდვილ ღრაფთან მივიდა. უფრო, დარწმუნდა მის ლაპარაკზედ და მისგან ბეჭედის მოგონებაზე. ეს არის ნამდვილი

ღრაფო! მაგრამ ცრუ ღრაფმან აჩვენა მისგან მოცემული თმა, ლენტი და მოაგონა სალამოს გამოთხოვება. შემდგომ ესეთის ნიშნების ჩვენების უმოწყალესნო მკითხველნო, არ არის გასაკვირვე-ლი რო დაერწმუნებია ის ქალი რომ ის იყო ნამდვილი ღრაფი. მაგრამ ნამდვლ საწყალ ღრაფსკი პანჩური კრეს და გარეთ გამოაგდეს. ციხეში ჩას. მასაცა უპირებდა მარკიზი, რომ ისევ ცრუ ღრაფს არ ეპატიებია. შემდგომ ამა ამბისა, ემო-ლი შევიდა ერთ ოთახში სადაც მისი მამის სუ-რათი ეკიდა მკრთვასად მოჭედილი ბრილიანტითა სხუა და სხუა ქვებითა. დაიდო გულზე მამა მისის სურათი, დაიწყო მოთქმა და თავში ცემა ხელითა. ამ დროს შემოესწრო მარკიზი, დააჭერინა ვითარ-ცა ქურდი და ციხეში ჩასვა. იმ დღის სალამოს როცა თავის უნებურად უნდა დაეტოვებია ნეა-პოლი წასულიყო კალაბრიაშიდ, შევიდა მასთან ცრუ ღრაფი და დადგა მდუმარედ სანამ თითონ ნამდვლმა ღრაფმა არ დაუყვრა: ნეცა რა უნდა ჩემს მტერს აქაო? მან უთხრა: «აი ეს ქისა ოქ-რო ქონდესთ თუ ჩემს თხოვნას ასრულებთო. მან კითხა: «თქუენი თხოვნა რა უნდა იყოს ჩემ-თანაო. მაშინ მან მიუცა ხელის მაგმაგით ქაღალ-დი, რომლითაც სთხოვდა თანხმობას ალკარებისას

მაზედ რო ვითომც ის სცდუოდა მითვსებად ღრაფის გვარისას. ვერ წარმოიდგენთ მაშინდელ სიფიცხეს ღრაფ ემილისას, ესეთის უსირცხვილო თხოვნისათვს. აილო ქაღალდი სულ ნამცეც ნამცეცდახია. მაშინ უთხრა ცრუ ღრაფმან: მე ერთის სიყვარულის მიზეზით მოველ თქუენთან რომ განმეთავისუფლებინეთ ამ საშინელ საპყრობილედგან, მაგრამ თქუენ არ ინებეთ ჩემი შეწევნა. თუ იმას ფიქრობთ თქუენ, რო ლოდოვიკო შეიროთით დარწმუნებული იყავით, რომ მისი შერთვა, თქუენ აღარ შეგიძლიათ, რადგანათაც ეხლა ის ჩემია. ამ სიცყვების შემდეგ გამოვიდა და კარი ისე მიხურა. საწყალს ემილის დაუკარგა ყოველი იმედი თავისუფლებისა და უფრო ლოდოვიკის შერთვისა დამხო თავ დაღმა საწყალ ჩალიზე, დაიწყო ტირილი და ვაება. იმ დღეში ცრუ ღრაფს ჯვარის წერა უნდოდა რო მარკიზის უეცარ სიკჳდილს ხელი არ შეეშალა. ლოდოვიკოს სურდა შემდეგომ მამის სიკჳდილისა წასულიყო თავის მალუისთან დროს გასატარებლად. მაგრამ ცრუ ღრაფი ურჩევდა ნუ წახვალო. მაგრამ მას მაინც არ დაუჯერა წავიდა. ცრუ ღრაფმან დაუწყო მას შევიწროება რამდენიცა მისგან შესაძლო იყო. როცა ქალმან იგრძნო თავის შეიწროება მაშინ ეჭვ

შეუვიდა; სწორეთ ნამდვილი ღრაფი ის იყო რომელიც გავაგდეთ. ამ მიზეზით განიზრახა მან ნეაპოლში მეფესთან წასვლა, რომ მან დაუბრუნოს ნამდვილი ღრაფი. მაგრამ მსახურებმა გამოუცხადეს ღრაფის ნება: არათუ ნეაპოლში გაუშვას იგი, თავის ოთახიდგანაც არ უპირებს გამოშობას, თუმც პირველ ამ ანბის გაგონებაზედ შეშინდა, მაგრამ შემდეგომ რაოდენისამე წამისა გაიმაგრა გული, ბძანა მოიყვანა ღრაფისა. მოვიდა სრული დაიმედოვნებული ეგონა თუ დაეთანხმებოდა შერთვაზე. სიცილით ჰკითხა: არა გნებავთ ჴელმწიფეო ჩემო? თქჳენ მისმეთო? ქალმა მიუგო: «დიახ მე გისმეთ. თქჳენ ინებეთ ჩემი შეპყრობა ჩემ სახლში?» ჴელმწიფეო ჩემო! ამ გვარ შეცთომას აქჳს მიზეზები, მისთჳს რომ მე თქჳენ მიყვარხართ. ყოველ საშჳალობას ვხმარულობ რომ თქჳენ ჩემი იქმნეთ? მაშინ ქალმა უთხრა. «კმარა ამოდენი გაბრიყვება და მოტყუება ჩემი. აწ აღარ მოვიტყუებ ჩემს თავს. როგორც სჩანს თქჳენ ცრუ ღრაფი უნდა იყოთო«? ღრაფმა მიუგო: «მართალია ნამდვილი ღრაფი ის იყო, რომელიც თქჳენ გააგდეთ! მე მივითჳსე მისი სახელი, მისთჳს რომ მამა მისმა პირველად დედა ჩემი დანიშნა და ვეყოლე მე. შემდეგომ დაუტევა

ჩემი; მეორეთ მისი დედა რომლიდგანაც ეყოლოა ის. ამ მიზეზისათვის მინდოდა დამეტანჯა იგი. ყოველი კაცი მარწმუნებდა, რომელ ძლიერ უყვარს მას თვალცანად, სიარულში და ლაპარაკში. შეუდექი მის სრულ მზგავსებას. ოთხი წელიწადი გაწვალე რომ ყოვლის ფერში მას დაემსგავსებოდი და კიდეც შევასრულე ჩემი. რამოდენ უბედურებად მიღირდა ეს ჩემი ცდა. მაგრამ ვარ მოხარული რომ მე არ დავსტანჯე როგორც ჩემი სურვილი იყო. უკანასკნელ დროში როცა ის თქუენ გამოგეთხოვათ ნეაპოლში წასასვლელად, მე ამ თქუენ ციხე დარბაზში ვიყავი, უყურებდი მას როგორი ტანისამოსი ეცვა. საღამოს მე ვიყავ თქუენთან, ვერ გამომარჩიეთ ნამდვილი ღრაფიდგან. თქუენი თმა და ლენტი მე წავგლე. შემდეგომ თქუენი ნახვსა ვაუდევ მე მას. ორის ავსტრიელის სალდათის შემწეობით დავიჭირე ის, აუხვე თვალი, გავხადე ყოველი ტანისამოსი და წავართვ. რამდენ შრომად მიღირდა ამ საქმის შესრულება. ასი იმოდენი სიხარული მომიტანა, როცა მეფემ მე მიმიღო ნამდვილ ღრაფად, ისკი გამოაგდო გარეთ. ესლა ხომ დარწმუნებული ხართ რომ მე თქვენ გატყუებდით; მაგრამ ვიმედოვნებ ვითარცა უფროსი შვილი ღრაფი ემოლისი, გამხ-

ღით ღირსს თქუჱნის სიყვარულისასა. ქალმა უა-რი ჰყო. თუმცა ჩემმა თვალებმა მომატყუა, მა-გრამ მე ღმერთმა ნუ მომცეს ფერდინანდის ებრო-ლის მეტი ქმრად კაცი.—ცრუ ღრაფმან უთხრა:

მშუჱნიერო ქმნულებო!

ბუნებამ შეგქმნათ თქუჱნ ყოვლის უკლების სიმშვენიერებითა. მასთან არ გყავთ მოკლებულ არც ძალასა, არც სიმდიდრესა, არცა ჭკუა გრ-ძნობასა. მაგრამ მეკი მქონდ უფრო თქუჱ-ნის ძალისა და მცირე კეთილშობილებისა ვემოდ თქუჱნი ჩემდა ხელში მოვდება. რისათჳს არ მშურდა არც ფული, არც კაცის სურვილი, არც რაიმე სიბლროცის ასრულება ერთი სიცუჱ-ოლონდა თქუჱნკი გამხდარიყავით ჩემი და ყოველ საქმეს ავასრულებდი. ნუ გაკვირდებით მოწყალე-კეთილმწიფეო ამ ჩემ სიმართლის მოხსენებისათჳს, მართლაც უნდა მოგახსენოთ რომ თქუჱნი ჭკუის მქონე ისე ჩქარა არ უნდა მოტყუებულ იყო ჰირუჱლ ჩემი ისე მილებისათჳს. ნამეტურ შემ-დეგ მისა, როცა მოვიკალ მფარველნი თქუჱნი მკროფასნი მშობელნი და ძმები. ეხლაკი თქუჱნი განთავისუფლება ძნელია ჩემი ხელიდგან. ისევ გირჩევთ რომ იყოთ ჩემი მოყვარული და მორ-ჩილი, თუ არა გარწმუნებთ, რომ ისეთ საჭერო-

ბილეში ჩავსომ, რომლიდგანაც განთავისუფლება თქუჱნს დღეში არ შეგეძლოსთ.

შემდგომ ამა ამბის გაგონებისა ქალმა იწყო ტირილი და თავში ხელით ცემა. ამბობდა: რა უბედური რამ ვარ! როგორა მომიყვანა საქმე ამ წყეულმა, მაშინ როდესაც მე მას მივენდვე ყოვლის კეთილის გულითა. უკანასკნელად მიუგო ღრაფს:

უმოწყალესო ღრაფო!

რისთჳს სართ ეგრე დარწმუნებული რო არაფერი საშუალება არ მაქუს განთავისუფლებისა მაშინ, როდესაც მე მოვენდე თქუჱნ მფარველობას ჩემი კეთილის გულის ნებით. თქუჱნკი ინებეთ ჩემი შეგიწროება. გარწმუნებთ რო ჩემი ძალის მქონე თქუჱნ ძალასთან უფრო ჩქარა განთავისუფლება ვიდრელა ძლიერი, მისთჳს რო ადრე თუ გვიან ჩემს მდგომარეობაში მიიღებს ვინმე კეთილი კაცი მონაწილეობას, რადგანათაც მე მართალი ვარ, ნუ თუ თქუჱნმა სინიდისმა არ გამხილოთ ოდესმე ესე ჩემი უკანონოდ შეპყრობა და არ მყოთ თავისუფალი? თქუჱნ გნებავთ ძალით მომერთოთ? თქუჱნ მისის თქმისაც არ ერცხვენიათ, რომ ჩემი მფარველნი მშობელნი და თანაშობილნი მომიკლით. შემდეგ ამ საქმისა

თქუჱნ გნებავთ ჩემი შევიწროება? გარწმუნებთ მოწყალეო ჴელმწიფეო, რომ სჯობს ნებით ჩემი განთავისუფლება თუ არა ცუდათ მოგიყვანთ საქმეს. დარწმუნებული ბძანდებოდეთ ამაზედ.

ღრაფმა მიუგო! თქუჱნის თანხების იმოდენათ მეშინია რამოდენიც ბუზისა. ნუსწუხდებით ლოდოვიკო! გარწმუნებთ ეგრეთის თქუჱნი სასტიკ სიტყვებით მე ვერ შემაშინებთ. პირველ ჯერ არ მესმის მე ეგ თქუჱნგან. ლოდოვიკო დარწმუნდა რო მას აღარ უნდა მისი განთავისუფლება. მაშინ შეუდგა იგი მომიებად სხუა რამე სამგალებისა განიძრახა გაპარვა ნეაპოლში მეფესთან. მაგრამ გაპარვა ძნელი იყო რადგანაც გზირები ყავდა შემოჩენილი. ერთს ღამეს როცა ყველას ეძინა, ლოდოვიკო შევიდა სალაროში ჩაიცვა ვაჟის ტანისამოსი, მარჯვენა ჴელში დაიჭირა ხმალი, მარცხენაშიკი კოლოფი სავსე ოქროთი. დაიწერა პირჯვარი. სთხოვა ხელის გამართვა მგზავრობაში ღმერთს, მშობელს. შემდეგ გამოვიდა გარეთ, ჩქარა გაიარა დიდი მინდორი და შეუდგა ერთ დიდ გორას. მაგრამ რადგანაც ბნელი ღამე იყო, წვიმდა და სიცივეც იყო, გზა ვეღარ გაიგო. საწყალი მთელ ღამეს სულ მკალ-მკალ დავიდოდა; ტანისამოსიც შემოეხია. მეორეს დღესკი

მუადლემდის შემძლო სიარული. მერმეთ მივიდა ერთ პატარა ბუჩქნართან, გარდამალი უნდოდა დაემალა კოლოფში; ამ დროს მოიხედა და უკან დაინახა კლდეში პატარა სახლი. შევიდა, ნახა: ღვინო, პური და სხუა მრავალი სასმელები. მან ხელი ვერაფერს ვერ ახლო. მაშინ დაიწყო ფიქრი და მოიგონებდა წარსულ თავის დროებას. იმ დროს შევიდა მასთან ერთი კაცი უცებ, დაიყვირა, მოეხვა ყელზე და დაუწყო კოცნა. საყვარელო ებოლი! ვმადლობ ყოვლად შემძლებელ ღმერთს, რო მან შეისმინა ჩემი უღირსი პირისაგან თხოვნა, მაღირსა კიდე შენი ნახვაო! იქ ნახა ებოლი, დაჯდენ უანბეს ერთი მეორეს თჳსი გაჭირვება და შეცთომილება. იმ ღამეს იქ დარჩნენ რადგანაც ლოდოვიკო ძლიერ მოღალული იყო. მეორეს დღეს წავიდნენ, როცა გაიარეს კარგა გზა ერთს მინდორზე დაინახეს წოლარე კაცი, მივიდნენ სანახავად, იცნეს ცრუ ღრაფი, მივარდა ებოლი, მოეხვა ყელზე, რა დაემართია საყვარელო ძმაო? დაუწყეს ჭრილობის ექიმობა და წაიყვანეს თან, როცა მოვიდა გონებაზე უანბო მან მათ თავისი ამბავი: «ლოდოვიკოს დასაწევნად წამოველ დამიხუდენ იმ ადგილს საცა თქუენ მნახეთ ავაზაკები გამცარცვეს და კიდეც დამჭრესო. როცა მივიდნენ

ებოლი და ლოდოვიკო ციხე-დარბაზში, რომელიც ეკუთვნოდა მარკიზ—დეს_პინოს. შემდეგ მცირე ხნის დაქორწინდენ, ქორწინება მათი იყო მდიდარი და მშვენიერი, რადგანაცა დასწრო მეფე იოახიმ მიურატი და მეუღლე მისი ხრისტინა და ნაპოლეონ პირველისა. ებოლიმ დაუმტკიცა თავის ძმას სახელი გრაფობისა და ყოველი ადგილ_მამული რადგანაცა ის იყო უფროსი შვილი მამა მისისა.

როცა ნაპოლეონ პირველი წავიდა რუსეთში მაშინ ორივე ძმები ახლდენ მეფეს მიურატს. როცა ნაპოლეონ დაამარცხეს რუსებმა, მაშინ ბერეზინა წყლის გადასვლაზედ ებოლის ცხენი წამოექცა წყალში და რო ძმას არ ეშველა დაირჩობოდა. მაგრამ იმ საწყალ მშველელსაც ჭრილობები გაუხსნა და შემდეგომ მცირე ხნის ავათმყოფობისა გარდაიცვალა. სიკვდილის გამოთხოვების დროს უთხრა თავის ძმას: «მე დიდი მოხარული ვარ ეხლა ჩემი სიკვდილისათვს, მისთვს რო რაც მსურდა ყოველივე შევასრულე. ერთის მხრით დედა ჩემის უპატიოდ მოპყრობა გარდავიხადე მეორეს მხრით ეხლა შენი გულისათვს გაძღები და ჩემი სინდისი განიწმინდა, რადგანაცა, მე დიდი დანაშაული ვიყავ შენთან. არ იყავ მშვიდობით და განაგრძოსო უფალმან დღენი შენი, შენი საყვარელი

ძჳრფასის მეუღლით. გთხოვ ძჳრფასო ძმაო მომიტევო ყოველივე შეცთომილება ჩემი შენთან.

ეს ანბავი უამბო ავტორს ერთმა მისმან მონათესავემ, რომელიც თვით მნახველი იყო ამ ანბისა.

თ. სამსონ აბაშიძე.

1860 წელსა.
15 დეკემბერს.
ს. პეტერბურგს.

---

# გამოსალმება.

ვითა-ცის ნამი დილითა ბრწყინვალებს ახლად
შლოილს ვარდზედ,
მარგალიტ-ცრემლნი, ცრემლთა ჰსდევს, ხიშნად
ჭმუნვისა შენს ლაწვზედ!

სატრფოვ! გშორდები და სიტყვაც ვერ მიპოვნია
სათქმელად!
ანუ შენთ ცრემლთა საშრობლად, ან ჩემად სანუ-
გეშებლად?

ვერცა ცრემლს ვაფრქვევ, ვერც ვუბნობ,
ჩემსა სიყუარულს, ჩემს ტანჯვას,
და მით ვარ უფრო უბედურ, რომ ვერა მოვსთქ-
ვამ ჰსგავსად სხვათა.

ნამდვილი ტრფობა, ვინა რა სიტყვითა ეძებდეს
ვერ ჰპოვებს!
რომელი გამოსთქჳს თჳს გრძნობა, და მისთჳს
ოხვრით მდუმარებს,

# ლექსები.

ესე არს საშიშ შემჭმელი, ცეცხლი უხილავ,
უშრო,
არ აჩენს გარეთ ნიშანსა, შიგნით გაოხრებს გულის
გულსა!

ტრფობა უმღვრო გულთ წყაროს ჰგავს მთა-
თავან გარდმოქანებულს,
რაოდენ მაღლზედ მორბის ვალს, მეოდენ დაუმღვ-
რებულს;

რა ჩემებრ გული კლდოვანი, მიიღებს ეშხის
მეჭრელსა,
ჵ დრო მას ველარ შემუსრავს, თუ არ შემუსრავს
თჳთ კლდესა!

მეტრფე, გიდრემდის გულმხურვე მე, მზის შუქსა
ნათელს მთოვარეს,
გიდრემდის ოხვრა გინდ ერთი, მხთობის ნიშნად
სიყვარულის!

თ. გრიგოლ ორბელიანი.

## თ. ილია ჭავჭავაძის კრიტიკაზედ.

---

### საღმრთო წერილი გვამხილებს:

«ნუ განიკითხავთ, რათა არა განიკითხნეთ.»

არ არის ეჭჳ, ის პირი, რომელიზედაცა ვჰსწერ ამ მცირედს აზრს და იქნება მკითხველიცა, თუ რომ ეკუთვნის მაღალი სასწავლებელში გაზდილთ საზოგადოებას, დამძრახავს ამ გვარ დაწყებაზედ, მაგრამ რადგანაც ჩუენ მოვმდინარეობთ მამაპაპათ ჩუეულებაზედ და უმაღლესს პოეზიას, გინა ფილოსოფიას ვპოვებთ უმეტესად საღმრთო წიგნებში, ამისათვის შემოვიტანეთ ჩუენის აზრის დასაწყისში ეს რამდენიმე საღმრთო სიტყუა. — მკითხველი მგონია მიხვდა, რომ ვლაპარაკობთ მეოთხე ამ წლის ცისკრის წიგნში

დაბეჭდილს თავად ილია ჭავჭავაძის თხზუ-
ლებაზედ, სადაცა საკმაოდ პატივით მოხსე-
ნებულნი ვართ ცისკრის თანამშრომელნი.
ისა სწერს, რომ ოთხ ხუთ პირთ გარდა
ახალი პროზაიკები და მოლექსენი ზოგი ერ-
თის გარდა ღმერთმა შეინახოს... რომ ამ
ახლის რითმების მორახუნებლებს, არავის.....
ჯერ ერთი ეს უნდა მოვახსენოთ თავად
ილია ჭავჭავაძეს, რომ არა ლიტერატორს
არ შეშვენის ამგვარის უშუერის ლექ-
სებით მოხსენება. თუ ლიტერატურობაზედ
თავსა სდებს, რატომ ესკი არ უნდა მოეხ-
სენებოდეთ, რომ ლიტერატურა უნდა შეი-
ცავდეს პატიოსნურს და დარბაისლურს ენას
და არა უშვერობას. ის გვიწერს, რომ ვი-
თომც ჩჳენ ვახდენდეთ ენას, არამც თუ ვა-
კეთებდეთ. თუ უკაცრავად არ ვიქნებით, მგო-
ნია თითონ უფრო ახდენს. წახდენა არ არის
თქჳენი ჭირიმეთ, პირჳელის შესავალის
გვერდზედ სხოლიომში რომ იმახის: ჳ, ჳე,
ჲ, ჳ, ჶ, სულ არ გვიხმარიათ, და თუ ვი-
ნიცობა არის ეს ენის წინააღმდეგათ მია-
ჩნდეს ვისმეს, ჩჳენ ყოველთვის მზათა ვართ
გავსცეთ პასუხი. ჩჳენ როგორც შეგვიტ-

ქვა, ილია ჭავჭავაძე, ბატონებო, გაზდილი გახლავსთ უნივერსიტეტში, სადაცა ასწავლიან მრავალს საგნებს და, რასაკვირველია სწავლას მიიღებდა, მაგრამ აჲ საკვირველი! უპირველესი საგანი არ შეუმჩნევია და ლიტერატორობსკი! თუ ნებას მოგვცემს, მოვახსენებთ, თუმცაკი მაღალ სასწავლებლებში არა ვყოფილვართ, და არათუ მაღალ სასწავლებელში, შინადამაც გარეთ არ გავსულვართ, რომ ყოვლის მწერალისათვის საჭიროა და აუცილებელი იცოდეს: თეორეტიკა, ანუ ჰსწავლა ჴელოვნებითის სიტყვერებისა. ეს რომ ყურადღებით წაეკითხა, უეჭველია არ იტყოდა: ჱ, ჵ, ჲ, ჳ და ჴ-ის ხმარება საჭირო არ არისო. რატომ არ იცის თავად ილია ჭავჭავაძემ, რომ ბუნებით მომზადებულთა სიტყვათათვის ადრევე დადებული არიან კანონნი, რომელნიცა არიან მართალნი და, რომელთაცა გამოცვლა დიდი გმობა უნდა იყოს. თეორეტიკა ენისა განსაზღვრავს: ა, რავდენი მოუცია ბუნებას ჩვენთვის ხმა გამოსატყვსათვის სიტყვათა, ბ, ვითარ შეუერთებია მას ესე ხმანი შედგენისათვის მარცვალთა, გ, თუ ვითარ შედგენილან მარცვალთაგან სიტ-

ყჷანი , რომელთათჳსაცა განუწესებიათ სხჷა დ̃ სხჷა გჷარი სახე მნიშვნელობისამებრ გამოხატვსა დ̃ დ, რომლისა კანონით განუსაზღჷრავთ შეერთება სხჷა დ̃ სხჷათა სიტყჷათა რათა შედგენილ იქმნენ პირჷჱლ დაწყებითნი აზრნი შეერთებულთა სიტყჷათა. ყოველთა ამათ განხილვა, გამოძიება დ̃ ახალთა კანონთა დადება ჩჷჱნი საქმე არ არის, რადგანც ყოველი ესე არის მოყვანილი ცნობაში ჩჷჱნზედ ადრე ბუნება გვეუბნება თქჳ ქჷალ დ̃ არა ქვალ; ბუნება გვამხილებს თქჳ ჩჷჱნო დ̃ არა ჩვენო. თუ ჴელოვნების თეორეტიკა არა გრწამთ, გრამმატიკისას რაღას იტყჷთ, რომ ჩჷჱნის ენის თჳსებას ეს შესანიშნავი კანონები შეუდგება: სადაც ვ დაჰყვება უხმოვანს ასოებს შუა, ან სადაც ვ-ს წინ-უძღვის უხმო ასო,—იქ ვ-ს მაგიერად ჷ უნდა,— სადაც ამ ასოს თან დაჰყჷჱბა ე, იქ ჱ უნდა, სადაც დაჰყჷჱბა ი, იქ ვი მაგიერად უნდა ჳ. თუ არც ერთის გაგონება არა ჰსურს უპატივცემულეს უნივერსიტეტშიგაზდილს, ეს მაინც როგორ არა აქჷს მხედველობაში, რომ სადაც ყურით გვესმის ვ-ის მაგიერად ჷ, ან ვი-ს მაგიერად ჳ, იქ ეს მარ-

თლი წერა არ უნდა ვჰყოთ უგულებელის, რადგანც ბუნების წინა-აღმდეგი იქნება. — თუ რომ უფ. ჭავჭავაძეს ჰსურს ახალის ენის დაბადება, ესკი არ ვიცით. სხჳანზედ ბძანებს: რითმების ტრფიალებისათჳს აზრსა სწირამენო. თუ უკაცრაოთ არ ვიქნებით, მგონია ენასაც თითონ ახდენს და რითმების ტრფიალებით სიტყჳსაც ამახინჯებს, ა. ჲ., რომ ჩჳენის ენის მნიშვნელობა სრულებით აღარა აქჳს. თუნდა ჩჳენც ავიღოთ მაგალითად იმისი უკანასკნელი სამი ლექსი მეოთხე ნუმერშივე დაბეჭდილი და გავსინჯოთ კარგა თვალი დავკრვებით:

«მისი ლექსი სუბუქ ფრთითა
ხან მეჯლისში და სხ....

სწორეთ მოგახსენოთ არ ვიცი რის თქმა ნდომია. სიტყჳა ესე «სუბუქ» ქართული არ გახლავსთ, — ამისი მზგავსი სიტყჳა გვაქჳს მართალია, მაგრამ ის სიტყჳა «სუბუქ» კი არ გახლავსთ და, სუბუქი კი. — რომ ეთქო სუბუქის ფრთითა, თუმცა ფრთითაც შეცთომაა, რადგანც ფრთით მხოლოობითი რიცხვა და არა რომელიმე არსება არ არის, რომ ერთის მხოლოობითის ფრთით დაფრინამდეს,

მაგრამ არა, ჩუენც შეუტყუეთ, სუბუექის ფერ-თით, ანუ სუბუექის ფერთებით რომ დაეწერა, მარცჳალი მეტი მოუვიდოდა და, ლექსად აღარ გამოუვიდოდა.—518 გვერდზედ, პირ-ველის სტრიქონში ზმანებს ბატონი პოეტი:

«ხან დაჰყურებს ღრუბლიანი
დაფიქრებით გოგჩის ტბასა....

ვის გაგიგონიათ თქუენი ჭირიმეთ, ითქუას ღრუბლიანი დაჰყურებს, მოღრუბლული და-ჰყურებს შეიძლება, ანუ ღრუბლით დაჰყუ-რებს გასაგონია, ღრუბლიანი დაჰყურებსკი პირველი გაგონებაა! აკი მოგახსენეთ რომ ახალის ენის დაბადება უნდა! ამისი არ იცოს.

«და ემდურის ყარიბ მღერით...

ჰსწორეთ ეს ყარიბ იმავე სუ-ბუექს მიემზგავსება.—და თუ უკაცრაოთ არ ვიქნებით იმის «ჴელი გავიქნიე ფეხს ჰგავს..»

«ან შენ მაშინ რა იცოდი,
ან შენ გიჟმა რა იცოდა.....

აკი მოგახსენეთ გრამმატიკა არა ჰსწამს მე-თქი.—განა დავიწყებია, რომ ვითხვთ ლე-ქსს,—ვისმა გიჟმა? მოსდევს ნაცვალი სახე-ლი მოქმედებითი, მაშასადამე უნდა ითქუას,

შენმა გიჟმა და არა შენ გიჟმა — მაგრამ უნდა მიუტევოთ ამ შემთხვევაშიაც, რადგანაც შენმა რომ დაუწერა ერთი მარცვალი მეტი მოუყვიდოდა, ლექსის შეწყობა დაიკარგებოდა, იმით პროზად შეიცვლებოდა, და ლექსად აღარ გამოუყვიდოდა. ჰო! ესკი დამავიწყდა, ყაყოთ ილია ჭავჭავაძეს რაც მოხვდება და როგორც იმისათვსა ჰსწერს. რომ გაუგონია პოეტების ფანტაზიის თავისუფლება აქვსო და პოეტებს ამ გვარები მიეტევებათო, ზემოთ შემეძლო მეთქო, აზრახსუნებს მეთქი, მაგრამ ზდილობა, წერის სურვილით როგორ უნდა დავჰკარგოთ?

„ტყეს ესხმება ფოთოლი,
აგერ მერცხალიც ჭყივის....

სასაცილოა ჭეშმარიტად და სამწუხაროც რომ ასე შეიცვალოს ჩვენი სამშობლო ენა. თქვენი რისხვა მქონდეს თუ თავის დღეში გამეგონოს მერცხალი ჭყივისო, ღორზედკი გამიგონია ყაქომა, ღორი ჭყივისო, იქნება ოდესმე ბულბულზედაცა თქვას ჭყივისო, რატომ? . თუკი მერცხალი დაიჭყივლებს, რატო ბულბულიკი არ უნდა ჭყიოდეს, — სადაც ვაზს ასხლებს ბაღში,

რომელსაცა რამდენიმე ასი და ათასი სხუა ვაზები ახვევიან და, სადაც იესო ქრისტემ ქუეყანა ამ სიტყვით აკურთხა «განმრავლდით, ვითარცა ვენახი მსხმო» ისკი აობლებს, მაშ რატომ მერცხალიკი არ დაიჭყივლებს ხეზედ შემომჯდარი მაისის დროს!

ამას გარდა, ერთი გადამალიოს გრამმატიკა და წაიკითხოს ზედ შესმული სახელი, ჰპოვებს სადმე ამ სიტყუების კანონს, «მალიან უპატარესსა» თუ მალიან არის უპატარესი რაღა საჭიროა, თუ უპატარესი არის მალიან მგონია მეტი იყოს.

მერმეთ ვსთხოვთ შეასმინოს ჩემს გაუნათლებელს გონებას, მაგ განათლებულმა ჰატივცემულმა სტუდენტმა, რა მნიშვნელობა აქუს ამ ლექსებს: ესტეტიკური, სენტი-მენტალური, დრამმატიზმი და სხუანი.—ხომ იცის რომ ჩუენ ცისკარს მკითხუელები, უფრო მეტნი ეგულებიან სოფლებში, სადაც ესტეტიკური, იქნება საჭმელადაც მივიღოთ. განა ყველა მაგასავით განათლებულნი ვართ.—მაშ თვითონ რაღათ დაიცინება «ცისკარში შეგვხუედრია გარმონიული სიტყვები, მაგ. ზადაჩა, ოსტროვები, ლინი-

ები, მაგრამ ეს სიტყვები ისე სასაცილონი იყვნენ თავის უშვერობითაო.... ბძანებს თ. ილია ჭავჭავაძე, ჩვენი მშობელი მამასაც არ დაუთმობთ ჩვენ მშობლიურ ენის მიწა-სთან გასწორებასაო. ენა საღმრთო რამ არი-სო » თუ მშობელის მამასაც არ უთმენს ენის მოყვანას და, თუ ენას სახავს საღმრთოდ, როგორ შემოურევს ამ უშვერს, მოყვანილს და ბიჭბუჭების სიტყჳებს: წრიპლიანი, მორახუნები, აგანგალა განგალა და სხჳა. აქ კიდევ ეს სიტყჳები: ისე ნაირად ჭრიჭინე-ბენ თავად ერისთავის ლექსები, როგორც... მე მრცხჳნიან ამ სამაგელის ლექსების განმეორება. ლიტერატორი, და ამ გჳარის სიტყჳების შემოტანა ჩჳენს მშჳენიერს ენა-ში, რომელზედაც იმისის არავის დაუთმობთ შეურაცხებასაო.

და ამასაც ამბობს, ნეტავი ერთი კაცი იყოს სა-ქართველოში, რომ ჩვენი ბოროტება ერთიანათ ასწეროს და დაგვანახოსო... ეტყობა სალაყბოს ფურცლები არ წაუკითხავს და თუ წაუკითხავს, იმისს მეხსიერებას შორს დაუნახავს, და არა ის, ვინც მეტის მეტად დამყავებული სიყჳა-რულისა გამო, ანგელოზსავით ახახელებს

საქართუელოისათჳს... ჩუენ მივხვდით ამას ვისზედაც ზმანებს და, თუ უკაცრაოთ არ ვიქნებით, ინებოს ღმერთმა იმისთანა წმინდა გრძნობა, წმინდა სიყუარული და თუნდა მწერლობა, მოიპოვებოდეს ამ ჩუენს დიდს და ახალს პოეტში.—ძალიან საკვირველად მიაჩნია, რომ არა გვყვანან ბაირონებსავით, შეკსპირებსავით და სხვათა ევროპიის გამოჩენილთა პოეტთა მგზავსნი,—უთუოთ თჳთონ მთელის ამ წარჩინებული საჴელის! ჩახრუხაძიდგან მოკიდებული აქამომდენ, სამ-ოთხს გარდა და თავის თავისა სრულებით არავინ მოსწონს.—მაშინვე ენაზედ მოგვადგებიან ჩუენი სასიქადულო რუსთველის სიტყვები, მხოლოდ ჩუენებურადკი დავიწყობთ ხოლომე:

«ვაზლიოვის ლექსი ტოტაა ნაწილი...

თუ ღმერთი გრწამთ მკითხველნო, ურჩიეთ თავისებურად ნუ დაიწყობს, ჴელი აიღოს, თორემ რუსთველის ლექსების მშუენიერება სულ დაიკარგება და მართლა მამაკუდინებელი ცოდვა ეს იქნება.—აბა როგორც თამარ მეფის მეთერთმეტე საუკუნეში აღუზრდია ათინაში შვიდი ყმაწვილი კაცი და

იმათი ქმნილება, დღევანდლამდინ იდიდებიან და ყოველის ქართველისაგან კმაყოფილებით წაიკითხებოდენ, ამ შჳდის საუკუნის განმავლობაში ხალხში მომდინარეობენ, ახლა მაგ ახალთ განათლებულთაგან მაღალთ სასწავლებლებში ერთერთმა მოგვცეს ერთი უკვდავი ქმნილება, შჳდის მაგიერ შჳდასს აღარა ზრდის ჩუენი დიდი ჴელმწიფე?

ყველა იქით იყოს და, მგონია ლოღიკაც დაუკარგავს თავის კრიტიკაში, მაშ რა არის ეს თუ ლოღიკის დაკარგვა არ არის. ჯერ იმასის: ვინ ჩუენ და ვინ ესტეტიკური კრიტიკა! ჩუენ ერთი უბრალო სიკჳდილის შჳლი ვართ და სად შეგვიძლიანო. შემდგომს ანბობს: იმისთანა ღვთის წყალობა თქვენა გაქვთ, როგორიც გამხილავი შეხვდაო... ჯერ თავს იმდაბლებს, შემდგომს წინააღმდეგად ლაპარაკობს და თავს იმაღლებს. ვაი ლოღიკის კანონის დაცვა გახლავსთ! იქნება როგორც უსწავლელში მრავალი ნაკლულევანება ჰპოვოს ჩემს ლექსებში, მაგრამ რას კჳრველია მეც რომ იმასავით მაღალ სასწავლებელში გაზდილი ყმაწვილვიყავ, მაშინ შეცთომებს მორიდებული ვიქ-

ნებოდი და ამასთანავე იქნება ჩემს რამდენსამე აზრს დაჰმატოს ჩუეულებრივი კუალად თავისი აზრი, მაგრამ უკაცრაოთ ნუ ვიქნებით, ჯეროვანს პასუხს ნულარ მოელიან ჩუენგან, განხილვა და ვის მხარეზედაც არის სიმართლე მიგვინდვია მკითხველთათჳს.— სული რომ ასე ვჰსწეროთ, ჩუენი ჟურნალი ამ ერთმანერთის კიცხვას მოუნდება თქუენი ჭირიმეთქი კარგი რაღა დაიბეჭდოს? ზემოხსენებულის გარდა კიდევ ბევრს წვრილმანს შეცთომებს ვპოვებთ ყველის სტუდენტის კრიტიკაში, მაგრამ იმას რომ გამოუდგეთ შორს მოვა და მკითხველსაც მოსწყინდება, მხოლოდ დასასრულს ამას ვსთხოვთ ჩუენის მხრივ როგორც თ. რევაზ ერისთავს, აგრეთუე ჩუენთა თანა_მოძმეთა მწერალთა, არ მიაქციონ ყურადღება ამ გუართა შენიშნულებათა, რადგანაც ვჰსწერთ ჩუენ არა დიდებისათჳს, რომ დიდება შევიძინოთ, არცა თჳთან იმ ილიას ჭავჭავაძესათჳს, რომ უთუოთმოვაწონოთ ჩუენი ჩალის ოდენი შრომა, არამედ ცისკრისათჳს, რომ ეგების როგორმე შევიმაგროთ ძველის ერთა ჟურნალი, როგორც თქუა ჩუენმა სასიქადულო

მწერალმა ბაქარ ქართლელმა და, რომლის შრომაებით მიეცა ღირსება ჩვენს ცისკარს, თუმცა ზმანებს ილია ჭავჭავაძე, რომ ჟურნალი არ ვარგა კერესელიძესათ. მჯროვასს დიმიტრი ბაქრაძის თხზულებაებზედ, არდაზიანზედ, რომლის მოთხრობა საკმაოდ განთქმული იქმნა ჩვენში და სხვებზედ სრულებით აღარას ფიქრობს. მაგრამ ეჰ! მომაგონდება ამ შეთხვევაში საღმრთო სიტყვა: «მიუტევე მამაო, რამეთუ არა იციან რასა იტყვან!....

კნეინა ბარბარე ჯორჯაძისა.

აპრილის 25
1861 წელს. ტფილისს.

---

## 22-ს ოკდომბერს, 1960 წ.—დედოფლის წყარო (*).

(ივ. კერესელიძის მოგზაურობიდგან.)

სიღნაღიდგან სამს ვერსზედ, მარჯვნივ მხრივ, საიდგანაც იწყობა სამზღუარი ქიზიყისა, არის

(*) რადგანაც ბევრი სტატიები მოგვაწოდნენ რედაქციაში, ამისთვის ვბეჭდავთ ჩვენის მოგზაურობიდგან, მხოლოდ ზოგი ერთს ალაგს, ნაწყვეტს—ნაწყვეტად.

მონასტერი, აღშენებული წ. ნინოს საჴელზედ. ამავე მონასტერში დაფლულია გუამი ქართუჱლთ განმანათლებელისა. — ვიდრე მივა მგზავრი და მიაღწევს მონასტრამდინ, გზა არის აღმართ-დაღმართიანი, ცალ მხარეს ხევები და გადასახედი, რომლითა დაჭყურებს ვრცელს მინდორს; მეორეს მხრივ მდებარეობენ სოფლები ერთი ერთმანერთზედ მიწყობილები: ქედელი, საქობო, შემდეგომს ბოდბე და სხუა. — როდესაც მიმავალობს მგზავრი, მორიდგან მოსჩანს ტაძარი, იმის საჴელზედ გაკეთებული, რომელმანცა დიდი საღმრთო ღუაწლი მესწირა ივერიას მეოთხეს საუკუნეში. როდესაც მიველი, დავხვდა ეკკლესიის გარდა, მარჯვნივ და მარცხნივ სახლები; მარჯვნივ არი ეტაჟიანი სახლებია, რომელშიაცა მდგარა უკანასკნელი წმ. ნინოს მონასტრის და მთიულის ქიზიყის მიტროპოლიტი, თავადთ მაყაშვილებთაგანი, პატივცემული იოანე და, რომელსაცა თვისის ღუაწლით აღუშენებია ეს სახლები. — შესავალს ეკკლესიის კარებში, რომელიცა შეკრულია თლით და რომელიცა აღებულია სხუა და სხუა ფერადის ხინჯრის ქუჱბით, ნახავთ შემდეგომს ზედ წარწერას: «აღმიხუენით ბჭენი სიმართლისანი, შევიდე ამას შინა და აუარო უფალსა ბრალი ჩემი»

მარჯვნივ და მარცხნივ სვეტებია, სხუა და სხუა წმინდანების მხატვრობით აკსებული; მეორეს მხრივ სვეტზედ, მარჯვნივ მხარეს, ისილავთ თვით უკანასკნელს ბოდბელს, მონოზონის ტანისამოსით, რომელსაცა მხურვალეთ გაუპყრია ქელი ზენათ და, რომლის წინ ასვენია, თვისსა სიცოცხლისვე დროს დაუხატვინებია. იმავე მხრის მეორეს მხრივ დახატულია სრულის მღუდელ მთავრის შესამოსე-ლით, ცალ მხარეს უბერეს სამოსელები, ხოლო მეორეს მხარეს ჯუარი. —ალსავლის კარებს, მარჯვნივ მხარეს, მეტალის პატარა ყუთი, სადაცა ასვენია გვამი წ. ნინოსი. ზედ ადგა მარმარი-ლოს ქვით გამოქრილი კუბო, რომელზედაც გადაფარებულია მძიმე ფარჩა. —ისკი დამავიწყდა და არ მოვიხსენიე, რომ ბოდბელის, სამონოზნო ტანისამოსის მხატვრობას აწერია, თვისივე სიცო-ცხლეში და თვისივე შეთხზული, შემდეგომი: «მენი ვარ მაცხოვნე მე, რამეთუ მცნებანი შენნი მოწ-მენეს მე», დამრთვა ლამპარიცა ესე მოებრე სასან-თლეს ზედა მემმარიცის მღუდელ-მთავრისათა; სახიჩნა მწუემსი ბოდბელი მიტროპოლიტი, სანაც-რელი კახთა და ქიზიყისა—ეს არის მესანიშნავი ამ უკანასკნელის ბოდბელის მღუდელ-მთავრობაში, რომ ეკკლესია ესე შეუმკია ყოვლის მხატვრობით

და შეუმკია ყოვლის კეთილის ღირსებით; ამას გარდა აღუშენებია სახლებში როგორც თავისთჳს, ისე სხუათა ბერებისათჳს სენაკები და გაუმართავს სასწავლებელი თჳთან ამავე მონასტერში, რომელიცა იმის გარდაცვალებამდინ არსებობდა. დროსა, ჟამს და გარემოებას მოუსპია ყოველივე იმისი კეთილ განკარგულება ისე, რომ აღარცა ერთი იმის დაწესებათაგანი არსებობს ახლა; თჳთქმის ეს წმინდა ტაძარი ნინოსი, მონასტრად აღარ ირიცხება და აღარც თუ ერთი ბერი მოიპოვება, მხოლოდ მიუწერიათ სიღნაღზედ; ამის კარმიდამოში აღარავინ სცხოვრებს, ერთის დიაკვნის მეტი, რომელმაცა გაგვიღო კარი და დაგვატარა.—დიდადა მსურდა მენახა სალარო, რადგანც მშვენიერი ქება საეკლესიო ნივთებისა, მაგრამ გასაღები არა ჰქონდა ამ დიაკვანს და იმასღა: წინამძღუარი სიღნაღში ბძანდება და გასაღებები იმასა აქუსო.—წინამძღუარს ბინა აქ არა ჰქონია, დღეომით მდგარა წმინდის სტეფანეს მონასტერში, ხირსაზედ.—დიდად საწყინოა ჩუენთჳს, რომ დროებამ არ ჩანთქოს, რა ჩუეულება და წესი ყოფილა, ამ ყოვლად სასიქადულოს მონასტერში ვიდრე გარდაიცვალებოდა უკანასკნელი მღუდელმთავარი იოანე.—ჯერ პირუწლად ეს უნდა მოვი-

ხსენიით და უნდა ვსთქვათ, რომ ბოდბელს ის უფლება ჰქონდა და ის მალა, რა მალაც და უფლება აქვს თვითქმის პატრიარხსა. ეს განარჩევდა სჩივარს რაც უნდა დიდი ყოფილიყო ერთის საათის განმავლობაში; ეს მოარიგებდა ერთს წამს და ერთის სიტყვით მოდავეთ, რაც უნდა მაღალის ფასისა ყოფილიყო და ეს აგრილებდა გახურებულს უკმაყოფილებას ცოლ ქმართა შორის.— ამისათვს, უფრო უყვარდა ხალხს, რომელიცა განუზომელს პატივს ჰსცემდა. როდესაც ბოდბელი, დღესასწაულის დროს მანტია წამოსხმული შებძანდებოდა ხოლმე ეკკლესიაში ლიტურგიის შესასრულებლად, წინ მიეგებოდნენ თავად-აზნაურნი, ახლო-მახლო და შორის სოფლებითგან მოსულები, მგალობლები ლალადებით შეაბძანებდნენ წმინდას ტაძარში, სადაცა დაიწყობოდა სადმრთო სამსახურის აღსრულება.— მგალობლები იყვნენ ორ პირად: მარჯნივ და მარცხნივ სვეტთან, და ეწოდებოდათ მომარჯვენე და მომარცხენე. ეს მომარჯვენე და მომარცხენენი გალობდნენ რიგ რიგით. ამ გალობის მშვენიერებას კაცი შეიტყობს ყოვლის ძველებურის ქართველისაგან, რომელსაცა ბევრჯელ ჰქონია წირვის მოსმენის შემთხვევა წ. ნინოს მონასტერში. რა რომ გათავდებოდა წირვა,

ბოდბელი გამობძანდებოდა და დაბძანდებოდა საეროლობელში დიდის ჭანდარის ხის ძირში, სადაცა გარს შემოესხდოდნენ თავისს თანამოძმენი ბერები, სტუმრები და თუ იქ შეხვდებოდნენ სამღვდელონი. აქ იყო ტკბილი საუბარი ახალ-ახალ ანუ ძველ საქმეებზედ. როდესაც საკმაოდ დროს გაატარებდნენ, მაშინ ყოველად სამღვდელო მიიწვევდა იქ მყოფთ სადილზედ, თავისს სასახლეში საზოგადოს სასადილოს დარბაზში. თავზედ იდგა ტახტი, რომელზედაც გარს შემოისხდა მხოლოდ უპირველესთა პირთა. მის დაბლა, ორ და სამ პირად, ისხდნენ ბერები, სტუმრები და სამღვდელონი.— შეეძლო ბერს, არ ენებებინა სადილი ბოდბელის სუფრაზედ და მიეტანინებინა ულუფა თავისს სენაკში, როგორც ყველას ულუფა ეძლეოდა. სადილის წინ იგალობებდნენ და ასრულებდნენ საღმრთო წესს. შუაში იდგა დიდი სანაყურე, ორ მეღვნეს ქვევრებით კელში ეპყრათ ღვნო და თასი, რომლით ერთი ჩამოურიგებდა მარჯვნივ მხრივ, ხოლო მეორე მარცხნივ. რომელიც არ დასცლიდა, იმ დანარჩენს ღვნოს მეღვნავე ჩაასხამდა სანაყურეში და ახლად დაუსხამდა სხვას. ეს ღვნოს ნარჩენი და სუფრის იქნებოდა ხოლმე მოსამსახურეების. ამ სადილის განმავლობაში თავს დასტრიალებდნენ

ყულურჩნი ვინიცობა იყო რისამე საჭიროებისა-თჳს.—საღილს შემდგომ კვალად სამადლობელი გალობა და შემდგომს ბოდბელის ოხუჯობა, იმათთან, რომელნიცა უფრო უყვარდა და რომელ-თაცა უფრო სწყალობდა. ახლა კაცი ველარას ნახავს ამ ყოვლად სასიქადულოს მონასტერში ერთის ცახცის მეტს, რომელზედაც ხშირად ზმან-დებოდა ბოდბელი, და ეს ცახციც მხოლოდ მო-გზაურს მახსოვრებს მჭმუნვარე დროების მოსაგო-ნებლად.—მონასტერი გარდუცვლიათ მცაცვს ეკკლესიათ.—იმას აღარ ვამბობ აქ, თუ როგორი მკოდრა ჰქონდათ ამ მო-ნასტერში, როგორ ასწავლიდნენ მოწაფეთა ბერები, რა სადმრთო წესი იყო და რა სადმრთოთ მოგვაწე-ობით აღასრულებდნენ მსწავლულები თვისთის ვალს. მხოლოდ კი დავმაცებ, რომ ამ მონასტერ-ში ბოდბელის დროს გაზდილნი ყრმანი, დღესაც ქართულის ენის მაღალ ფილოსოფიის მცოდნეთა შორის ირიცხებიან.

წმინდის ნინოს ეკკლესიითგან ექუს ვერსზედ მომორებით სოფლის ბოდბის ხევის ქვემო მხრივ ხეობაში დგას მაღალ გუმბათიანი, საკმაოდ დიდი ეკკლესია აღშენებული წმინდის სტეფანესაგან, იმ ათ ათორმეტთ მოციქულთაგან, რომელნიცა გა-

მოვიდნენ ასირიითგან და რომელნიცა დაიფანტნენ სხუა და სხუა საქართუელოს მხარეს, ქრისტიანობის სარწმუნოების გასამტკიცებელად — ამ წმინდის და ღირსად შემოსვილს სტეფანეს ხედა წილად ქიზიყი, სადაცა აღაშენა რა ეკკლესია, ქიზიყის შუა გულს, უწოდა როგორც ახლოს მდებარე სოფელს, აგრეთვე თჳთ იმ ეკკლესიას ხირსის მონასტრად, ესე იგი, ასირიის მონასტრად. — თჳთან წმინდის სტეფანეს გვამი დაფლულია ამავე ეკკლესიაში კანკელის მარცხნივ მხარეს. — ზედ წარწერა, რომელიცა არის მარჯვნივ შესავალს კარების თავზედ, ამტკიცებს, რომ ეს ეკკლესია გასხლებულია კახეთის მეფის ლეონისაგან. — ამ ეკკლესიასა ჰყვანან საკუთარნი გლეხნი და საკუთარი ვენახები, რომლის საშვალობითაც გამოიკვებებოდნენ ძველ დროს და თჳთან უკანასკნელის ბოდბელის იოანეს დრომდინ ბერები. — ახლა ეს ბერები ძრიელ შემცირებულან ასე, რომ სამნი მხოლოდღა დარჩომილან. ამათი წინამძღუარი არის არხიმანდრიტი წმინდის ნინოს მონასტრისა. — მხოლოდ ეს მიკჳრს, რად უწოდებენ წ. ნინოს მონასტრის არხიმანდრიტად, როდესაც რომ ბერებს არა აქუსთ აქ სადგომი და თჳთან ის არხიმანდრიტიც მჳრით არის აქ. ამ მონასტერს გარშემო

ველით ქვევრის გალავანი, ხოლო თვით გალა-ვანში, მესავლის მარჯვნივ მხარეს ბერებთათვის სენაკები და სადგომი წინამძღვრისა. —რომელსაც შევედი ამ მონასტრის სანახავათ, ეზოში დამისვ-დნენ სამნი ბერნი, რომელთა შორის იყო ერთი მოხუცებული, თეთრ წვერა, თითქმის ოთხმოცს წლის მიცანებული. მკითხე, რა გემოსვლა ქალზედ და შენობა გასინჯე, —წელიწადი ამ ეკლესიის აღშენებისა და ცხოვრება წმინდის სწავლანისა, რომელზედაც აღვარა უცნაურობა. —დიდად სამწუხაროა, რომ ამ პატივცემულთა მამათ არ იციან გარემოებს ამ მონასტრისა, რომელსაც სა-ფარველს ქვეშე იმყოფებიან. —ამ მონასტერს რა გამოქანდაკებით და გავლით ქიზიყის სოფლე-ბის ხეობას და განცალკევებით რა თითქმის თხუთმეტს ვერსზედ, დედოფლის წყაროს მარჯვნივ მხარეს დევს წმინდის ელიას ეკლესია, აღშენებული მაღლის კლდეზედ. —როდის არის აღშენებული, ვისგან და როგორ, ჯერ აქამომდე არავინ იცის. —

## პირუტყვთ მოშენება.

რიდეზელის გამოცდილებაებითა, გარეგი თივა, გირვანქის $1^3/_4$ ანუ სხჳა ვითარიმე თივასთან თანასწორი პოხიერებითა პირუტყვთ საკვები კმასაყოფელ არს დღე და ღამეში ჩვეულებრივს დროს საზრდოდ ცხოველისა, რომელსაც აქჳს 100-ის გირვანქის წონა. დროსა უკჳჱ მროხების მაკეობისასა ეს რაოდენობა საკვებავისა არა არს საკმაო, ვინაიდგან თჳნიერ საზრდოჲს, სიცოცხლის შემნახველისა, საჭირო არს კიდევ საჭმელი გასაზრდელად ჩასახულისა, და ამისთჳს უნდა ემლიეოდეს დამაკების პირველის ნახევარიდამ არა ნაკლები $2^1/_2$ გირვანქისა ცხოველს 100-ის გირვანქის წონისასა, ხოლო მეორეს ნახევარში უნდა ავიდეს ეს რაოდენობა სამს გირვანქამდის და უმეტესამდისაცა. მროხასა, 800-ის გირვანქის წონის მქონესა,

უნდა ეძლეოდეს ხოლმე მეორეს ნახევარში 24-ს გირვანქამდის კარგი თივა, ანუ სხვა საკვები, ჰოხიერებით თივისა თანასწორი. მაკე ძროხამ, მექონმა 100-ის გირვანქის წონისამან, უნდა სჭამოს მწვანე ანუ ნედლი საკვები 9-იდამ არა უმეტეს 12-ის გირვანქისა; არ უნდა მიეცეს მხოლოდ ისეთი ნედლი საკვები, რომელიც მუცელს შემოზერავს, ვითარცა მაგალითებრ იონჯა (კლევერ) და უმჯობეს არს შემოკლდეს მიცემა ნედლის საკვებისა, ხოლო მომატოს იმის მაგიერ ხმელი; გაშვების დროსაც სამოვრად საჭირო არის ეძლეოდეს მაკე ძროხებს ცოტა ხმელი საკვები. ყოველი საკვები საჭირო არს შესწორებული იქმნეს ნოყიერებით თივისთან და ეძლეოდეს შესაფერის თივასთან ზომითა, მაგრამ უნდა დაცულ-იქმნას კანონად, რომ ეძლეოდეს ჰოხიერი, გარნა არა მოუნელებელი საკვები, ამისთვს უმჯობეს და უსასარგებლოეს არს ყოვლისა, რომ მაკე ძროხებს ეძლეოდეს სხვა და სხვა ჰოხიერი არეული საჭმელი. რაც შეეძლება სასმელის რაოდენობისა, შეიძლება ეძლეოდეს მას ძროხებს ყოველთვს ვიდრემდის

გამღებოდენ და ყუმჯობესი არს ასმევდენ წმინდას მდინარეს წყალსა ანუ თბილს წყალს შავის პურის (რჟანოი), შვრივა და მუხუდოს ფქვილითა

მაკე მროხებს არ უნდა ეძლეოდეს მომატებული ნოყიერი საკვები და დიდად ბევრი, მაგალითებრ: პურის მარცვალი, ზეთის გამონაწური (კოპტონი). თუ სწორეთ ამ საქმეში გამოცდილებათაგან აღმოჩნდა, რომ ხბოები ამ მროხებისანი იქმნებიან ხოლმე სათუთნი — ტანოვანნი და სუსტნი. უფრო ცუდათ იქცევიან პატრონნი მაშინ, ოდესაც მსურველნი მროხის მოგების შემდგომ რძის მომატებისანი, მხოლოდ რამდენისამე კვირით ადრე მოგებისა იწყებენ მროხების ჭმევასა მომატების პოხიერის საკვებისასა და დიდის რაოდენობით, ხოლო იმ დრომდის აჭმევენ საკვებავსა ნაკლულევანსა. ხბოები ამ შემთხვევაში დაუწყებენ ესრედ ბევრსა რძის წოვასა, თუ იზრდებიან დედის რძითა, რომ საჭმლის მოსანელებელნი ორგანონი ვერ შეიძლებენ მონელებასა მოწოვილის რძისასა და ამისაგან გაუჩნდებიან კუჭში სიმჟავე და მრავალი სინოყიერე,

მაწარმოებელი მუცლის ტკივილისა და საქ-
მობისა. გამოცდილებათაგან არის მიხვედრი-
ლი, რომ კარგი არის, რომ ცოტა შემოკ-
ლდეს ჩჳეულებრივი მიცემა საკვებისა სა-
კუთრივ კარგად ნაჭმევის მროხებისათჳს
მოგების წინა დროში, გარნა არა იმ ზო-
მითა, რომ გახდენ იმისგან.

რომელნიმე პატრონთაგანნი ჰრაცხვენ სა-
სარგებლოდ მოგების ფურების ჭმევასა თჳთ
ნაკლულევანისა საკვებავისასა, მისთჳს—
რომელ ვითომც ესე ჳთარისა საკვებავითა
ჩასახული ცუდად იზრდება დედის მუცელ-
ში, და რადგანაც ჩასახული იქმნება უსუსტე-
სი და პატარა ჩვეულებრივზედ, ნაკლებად
შეაწუხებს დედასა მოგებისა დროს. ეს
ჰაზრი არის ტყუილი, ვინაჲდგან მოგება
იქმნება ხოლმე შემაწუხებელი არა დიდისა
ანუ პატარის ხორცისა და რბილის ნაწილე-
ბისა რაოდენობისაგან, არამედ ხარისხისაგან
ძვლების რაოდენობისა, რომელნიც შესდ-
გებიან ხოლმე დამოუკიდებლად ერთისა ანუ
მეორისაგან. თჳნიერ ამისა ცხოველისა კარ-
გათ გამოკვებილისა, არა დასუსტებულისა, მა-
გარსა, უფრო მეტი აქჳს მალი გაუძლოს

წველებასა მოგებაზედ, ვირემც ცხოველისა სისხლსა, — ნიშნავს, რომ ნაკლულევანის კვებისაგამო მაკე მროხებისა უფრო ადვილად შესაძლებელი არს შემთხვევა უბედურებისა. გამოცდილება გვარწმუნებს, რომ თუნდ მაკე მროხებს სულ არ მიეცესთ საკვებავი მომდინარეობასა შინა ვითარისამე დროებისასა, მაშინ, რასაკვირველია, ის მროხები დასუსტდებიან; მაგრამ ჩასახული მაინცკი ცოტ-ცოტად იზრდების; თუნდ დედაც მოკვდეს შიმშილით, ხბო შესაძლებელი არს გამოღებულ იქმნეს და დარჩეს ცოცხლად, გარნა იმ შემთხვევაში, თუ ეს შეხვდება მოგების წინა დროს, ესე იგი ფურის დამაკებიდამ შემდგომად ორმოცის კვირისა. არ უნდა ემლეოდესთ მაკე მროხებს ისეთი საკვები რომლისაც ისინი შეჩვეულნი არ არიან, — ამისაგამო შეიძლება უდროო მოგება, გაბერწება, ზოგჯერ ფრიად ძნელი მოგება. ამტკიცებენ, რომელი მროხები რომელნიც იკვებებოდენ თალგმითა და კომბოსტოს ფურცლებითა, დიდად სუქდებოდენ, მაგრამ თხუთმეტიდამ თითქმის ვერც ერთმა მშვდობიანად ხბო ვერ მოიგო; ამასთან სამი

ძროხა გაბერწდა, ორს ხბო გამოსჭრეს და გამოიღეს წვრილ წვრილად, ხუთი ძროხა მოკვდა.

თუ ზოგჯერ, ნაკლულევანებისაგამო საკვებავისა, ბერწს პირუტყვს აძლევენ არა ბევრს წამხდარს საკვებსა, რომელსაც ურევენ სხჳა საკვებაებში, დროსა უკვე ძროხების მაკეობისასა ეს არ უნდა მოხდეს, ვინაჲდგან ამისგან წარმოსდგება ეგრეთვე გაბერწება. ამისთჳს წყალი დასხმული ხმელი საკვები, გაყინული, ბოსტნეული დამპალი საკვები არ უნდა ეძლეოდესთ ძროხებსა; თჳთ ნედლის კარტოფილითაც არ უნდა ჰკვებონ მაკე ძროხები მომატებულად. არ უნდა ეგრეთვე უშვებდენ ძროხებს საძოვრად მინდორში მოყინვის დროს. მაგალითებრ შემოდგომაზედ ანუ გაზაფხულზედ, ამისგამო ეგრეთვე ძროხები ბერწდებიან. ძრიელი ცივის წყლის სმევა ფრიად ავნებს მაკე ძროხებს, საკუთრივ იმათ, რომელნიც უწინ იყვნენ შეჩვეულნი თბილს სასმელსა, და უფრო სავნებელი არს, რომ მივსცეთ ნება ჭაობების წყლის სმისა; ამისგან მოხდება გაბერწება. მაკე ძროხები უნდა იყვნენ შე-

ნახულნი ზამთრით თბილის და ვრცელის ბინე-ბში, რომ ცხოველთ არ შეემთხვათ მსწრა-ფლი და უცები ჰაერის ცვლილება, ჩქარი გადასვლა სითბოდამ სიცივეში ანუ სიცივი-დამ სითბოში.

უნდა გაფრთხილება, რომ ცხოველნი არ შეშინდნენ, ვინაიდგან აქედამ წარმოსდგება გაბერწება. მოხდება ხოლმე საქონელთ ბი-ნებში, რომ მროხები ერთმანერთს ერჩიან, ამის გამო მიიღებენ სნეულებას და ბერწდე-ბიან, ამისთვს უმჯობეს არს რომ განაშო-რონ ხოლმე ცალცალკე. ბინებიდამ ერთად არ უნდა გამორეკონ ხოლმე იმ რიგათ, რომ ერთი მეორეს აწვებოდეს, ვინაიდგან ესეც ეგრეთვე მავნებელი არს, როგორც რჩობა; არ უნდა ატარონ მროხები გვერ-დებსა და ფეხის მოსასხლეტს ადგილებში; ერთის სიტყვით, ყველგან, სადაც საშიშარი არის, რო საქონელმა იტკინოს რამე. მწყემ-სნი და ზედამხედველნი არ უნდა სცემდენ მაგ მროხებს, დაკვრისაგან იგინი ბერწდე-ბიან, იგებენ მახინჯებს და არა იშვიათად ამისგან უნახავთ ხბოები დამპალნი თვით მუ-ცელში.

ვითარცა კანონი, უნდა იქონიონ მხედველობაში შემდგომი: თუ ცხოველი ერთხელ უკვე გაზერწებული, მეორეთაც გაზერწდება, მაშინ ის უნდა გამოირიცხოს მოსაშენებელთა რიცხვსაგან, ამისთვს—რომ ეს შეიძლება განმეორდეს არა ერთგზის. თუნდ კიდეც მოხდეს ამისთანას ძროხას ეყოლოს ხბო და გაიზარდოს, მაინც თვისება გაზერწებისა უთუოთ გადავა ახალის ცხოველზედ და შეიქმნება მემკვიდრეობითი. ამასთან გაზერწება აწარმოებს სიმყილისა სხვათა ცხოველთა შორის და არა იშვიათად შეიქმნება ხოლმე მიზეზად მისა, რომ სხვანი ცხოველნიც გაზერწდებიან ხოლმე.

მავე ცხოველთათვის მიუცილებლად საჭირო არის მოძრაობა. გარნა იმისთანა, რომ არ იყვეს უზომოდ დამღალველი. ამისთვს, სადაც არის ჩვეულება ძროხების მუშაობაში მოხმარებისა, რვა კვირის წინათ მაინც ხბოს მოგებამდის უნდა იყვნენ მოსვენებულნი. მოწველა უნდა მოისპოს 8 ის ანუ 6-ის კვირის უწინარეს მოგებამდის, იმისგამო, რათამცა ძროხებმა შეიძლონ თავეთის ძალის ხმარება ხბოს გაზრდაზედ. ნიშნები, რომლი-

თაც შეიძლება შეტყობა მოწველის დატევების დროს მოსვლისა, იქმნებიან შემდგომნი: პირუწლად, ოდესაც რძე მომატებით დაცოტავდება, ანუ მეორედ, ოდესაც რძე მიიღებს უზომოთ გად მატებულს ხაჭოს ნაწილებს; ყოვლის შემთხვევაში მოწველა უნდა შესდგეს არა ერთბაშად, არამედ თან და თან მოკლებით.

იოსებ მამაცაშვილი.

(განგრძელება იქნება შემდეგომში).

---

## აზრი აღზრდასა ზედა ყრმათათა დასავლეთის ევროპაში. —

მივსცემ თავსა ჩემს ნებასა, შეუსახებელად ამა საგანისა, წარმოვსთქვა ჩემნი შენიშვნანი. საფუძველი, რომელზედაც დაემყარება იქაური აღზრდა ყრმათა, ფრიად შორს არიან იმ კანონთაგან, რომელთადმი ჯერ არს შედეგომად. — ერთმა ვინმე ფრიად კეთილად განსაზღვრა აწინდელ ყამის ყრმათა აღზრდა ხსენებულ ევროპაში: მან დაარქვა

მას საიდუმლო სწავლა, რომელსაც აქუს აზრი რათა მისცეს სრულობა ზემო პირსა, და მით ადვილად დაჰფაროს ნაკლებულობა მიერით პირისა.

დიდო-კაცთ საზოგადოობას დასავლეთის ევრო-პაში მიუღია ჩუეულებად, რომელ მშობელნი პირველსავე დღეს მოიშორებენ თჳსსა ახლად შობილს და ჩააბარებენ უბრალო ძიძასა, და შემდეგ მუმუს გამზრდებისა, მიუჩენენ აღმზრდელად ქვა-დვე სხუასა დედაკაცსა, რომელსაც არა აქუს თჳსის წოდების გვარათ საჭიროონი თჳსებანი, და ბოლოს უცვლიან ამასაც, და აბარებენ მასწავლებელსა მამა-კაცსა, მხოლოთ სრულებით, არ გამომკითხველნი არცა მისის ნამდვილის ცნობისას და არცა სახისა მისის ფიქრისას.

ოდესაც ყრმა შეიქმნების ათის წლისა, მას აბარებენ სასწავლებელში, — გიმნაზიაში, მრავლის სხუათა ყრმათა, რომელნიცა არიან აღზრდილნი სახლთა შინა მშობელთათა, ვითარცა პირუწლნი. ამისგამო სხუნებულნი ჭაბუკნი შეასრულებენ რა თჳსთა სწავლათა, არა აქუსთ საკმაო ცნობა სჯუ-ლისა, რათა ცხოვრებაში აქუნდესთ ბედნიერება, რომელიცა შეუძლებელ არს უსჯულოთათჳს. — ჯერ არს სიყმაწჳლიდამ შეჩვევა ყრმისა მოყვარებად კეთილ-მოქმედებისა. ამის მიზეზისგამო დიდნი

მწერალნი ძველთა დროთა, როდისაც ჰსწერდნენ რასმე შესახებელად ყრმათა აღზრდისას, მოიხსენებდნენ თვით მცირეთა საჭიროებათაცა, რომელნიც მიღებულ-არს ჩვენ შორის საცინლად. მაგალითებრ: ხრიზიპპ უჩვევდა, რომ მოეპოვებინა ყრმისათვს ძიძად მეცნიერი დედაკაცი, და კვინტილიანი მოითხოვს, რომ ძიძა იყოს კეთილ-მოლაპარაკე. ხმა ძიძისა, ანბობს იგი, უძველაზედ პირველად შეეხების სასმენელს ყრმისას, რომელიცა ბოლოს დროს აბაძებს ხმასა თვისსა ხმასა აღმზრდელისასა. რასაცკი ამ ხანში, ანუ უფრო გვიან, მოიპოვებს ყრმა, იგი მიუცილებლად დაენერგვის მას გონებაში და მეხსიერების სამუდამოდ.—

მახინჯნი ესე, ერთ რიგად მართალია, არ შემჯვნის თქმად ძიძებთ კერძოთ, გარნა ადვილ-მისაწერ არს აღმზრდელთადმი და მასწავლებელთა. არა ძვირ არს დაჩვევა ყრმათა ზრდილობითა და წესითა, რომელნიცა არა ეთანხმებიან კაცთა მოვალეობათა და საწმუნოებათა.—პირველნი ხმანი, რომელნიც შეეხებიან მათთა მსმენელობათა, და პირველგზის ცნობანი, მიღებულნი მათის გონებით, დაენერგვიან მათ შინა ეგრეცა მტკიცედ, რომელ ძნელათღა შესაძლებელ არს მათ მიერ დავიწყება. ამის მიზედვით ადვილ-გასაჭსჯელ-არს, რომ ყრმათა აღზრდა

რაოდენ საფიქრებელ არს დედ-მამათათჳს, რაოდენ ძნელ არს დათანხმება მათი აღზრდა მათთა ნიჭთა-დმი, რომ განიწმინდოს მათი გრძნობა, განინა-თლოს მათი გონება ჭეშმარიტებითა და შეუდგეს ნება მათი კეთილთა.

კაცი მესასხებელად ზნეობისა იწყებს მცნობე-ლობასა მცირე წელიწადში; უბედურ იქმნების იგი, უკეთუ მცნობელობა ესე არა ეძლევის მას დედ-მამის ყურის-გდებით. პითაგორი უბნობს: დედ-მანი უნდა იყვნენ პირველ აღმზრდელად თჳსთა ყრმათა; იგინი მოვალენი არიან, რათა პირველო-ბაში უჩუენებდნენ თჳსთა შჳლთა ყოველსავე და-წყებასა კეთილ-ზნეობათასა, და ნურცა ივიწყებენ, რომელ შეუძლებელ არს ჩანერგვად ჭეშმარიტის განათლებისა კაცისადმი უქრისტიანეოს მცნებითა. კაცი ბუნებით მიილტვის ბოროტებისადმი, იგი მიილტვის მალითა თჳსისა ბუნებისათა, და ამისგა-მო ცდილობს ქცევით დაედაროს მას, რასაცა ხედავს თჳსთა, მგზავსის მოქმედებაში.—ჩუეულება ბავშვსა მალე შეიცვლება ზნეთ, და ზნე შეიცვლე-ბის ხასიათად, მგზავსად მათთა ხასიათთა, რომელ-თაცა სშირათ ხედვენ და რომელთანაცა სამუდამოდ ატარებენ დროსა.—მაგალითნი მეცვზით მოქმე-დებენ ჩუენზედ, ვიდრეღა კანონნი; იქნება ამისგა-

მო, რომელ იგინი უმეტეს უფლობენ კაცის მგრძნობელობაზედ, და კაცნი მხოლოდ მოქმედებენ გონებაზედ —

იფიქრეთ, ამის შემდგომ, რაოდენის მეცადინეობით მოვალენი არიან მშობელნი, რომ თვსთა შვილთა მოუმზადებდნენ კეთილ აღმზრდელთა, უკეთუ თვით არა სურთ, ანუ არა ძალუძსთ კისრად აღება აღზრდა მათი — ცუდთა აღმზრდელთა რიცხვნი მეტობენ, ვიდრემდის კარგთანი; ამისაგამო ხშირად არს გონიერება, რომელ მრავალ რიცხვში აღიზრდებოდნენ მით, ვისცა მიეცემი შესაძლო იყოს შვილის მიბარება; ადვილ შესაძლო არს ამ გვარს აღზრდაში შეცდომა და ჩაბარება შვილისა ცუდისა მიმღებისადმი.

აღიზრდება წიგნისა სწიფისგელოდ მათის, აგრეთვე მოადეგს მშობელთათვს საგანსა მზრუნველობისასა. — საშუალო მწერალი, რომლისაც ისწავლება არს საგნე ბრწყინვალის აზრებითა, მოაცილებს ყრმასა, და საშინელ მოიცავს გონებასა მისსა წარმოწყმენდილის უფლებითა. — მაცნებული ნაგული მასშინა გამოსაცნობთა თუ აზრთა შეიმწყნობს ჩვენ; წარმოვაცეცებს, შეეგიმლის წარმოგზის კაცსა და ჩავაგდებს უბრსულსა მანი უმეცრებისასა. სწავლა იყო მიზეზი გარ-

ქმნილებისა რომელთ გამოჩენებისასა. —რევიზუ-
ლიანი შენიშნავს, რომელ მისის დროს ყმაწვილნი
ქალნი კისრულობდნენ სენეკას თხზულებათა,
ფრიად და მავნებელთა, რადგან მის თხზულებაში
სავსენი არიან სასიამოვნო ბოროტებებითა. მეზხვნი
წიგნნი, საუბედუროდ, ხშირად გამოეცემის საფ-
რანგეთის ქუჩეებში.

მხოლოდ ალისწერ არს ყოველნი ცნობანი, რო-
მელთაცა მოლაქისი სრულჭეშმარიტ ვინებისა ყრ-
მისასა: საკრავი, ცეკვობა, ანუ სხეულის მოძრა-
ობა სხვა და სხვა თამაშობითა, ერთის სიტყვით
ყოველივე ხელოვნება უნდა მეგობრულის კავში-
რობით მიილტვოდეს მისადმი, რათამცა ქალნი
ქალთა შინა, გამოცხადებულიყვნენ გრძნობანი სხეუ-
ლთა და ზნეობათანი.

სითამამე ქალებთათვის უნდა იყოს უმანკო.
მშობელნი ყოვლის ძალით უნდა ცდილობდნენ,
რომელ შვილნი მათნი არ მიეჩვივნენ უშვერსა მო-
ხუმრობითა, მომღერალნიცა მხიარულ ავარდნენ
მეგობართა, თვინიერ არა დაკვირვების შემოსავა-
წარმოთქმად რომლისამე განსვენარის სიტყვისა —
ქალსა კეთილზნეობით აღზრდილსა მოლუშმ თქმა გა-
საცვენარის რისამე, არა დამკვირვებელი მასვე ყამს
ზრდილობის წესისა —იგი მეტად ამცირებს ხუმ-

რობას, რომელიც თავის გამოჩენისათჳს შეეხების სხუასა ჰაციოსნებასა.—დედაკაცნი საზოგადოდ არიან უკეთესად აღზდილნი, ვიდრე მამაკაცნი. ამ გვარად ისხნებოდნენ ციცერონის დროსნი, რომელიც იტყოდა: ამის მიზეზი ეს არის, რომელ დედაკაცთ არა აქუსთ ხშირად შემთხვევა შეყრად სხუა და სხუათა ადამიანთადმი, მაშასადამე მით ადვილად ძალუძსთ დაცვად სიწმინდისა თჳსთა ზნეობათა და კეთილ-აღზდილობათათა:—

ალექსანდრე ზაქარიას ძე სულხანოვი.

# წერილი რედაქტორთან.

---

არ ვიცი რა მიზეზია, რომ ჩამაცივდით დავწერო რამე ცისკრისათვის. ნუ თუ გსურთ ჩემზედაც ალაყუფანდარათ ზოგი ერთნი მწვავე მოკრიტიკონი და მეკამკოლებანი ჩემი თავი, როგორითაც საბრალოთ გაზლათვეს?

რვა წელიწადი ერთათ გვსხვეთ გიმნაზიის შიგ საკამეჲები და ჩვენი ტოლნი ქართულს ენაში ნასწავლი სახელის ალორ გადახდალიდა; მაშასადამე მქონდა ცოდვილი გზნებები ქართულის წყობილებაში. ეს იყო, მიზეზი რომ აქამომდე ვერ აღვასრულე თქვენი თხოვნა.

მაგრამ ამნვრის ექვთ ტფილისში იმდენი რამ მოხდა და დავინახე ...სავრცში, რომ არ შემეძლო არ გამომეთქვა, შემდეგში-

სამჯერ, რამდენიმე სიტყუა მაზედ, რაც დავინახე შესანიშნავად.

ყოველი კეთილის მსურველი, განათლებული და კეთილშობილი, აწვრის ნომყრში გვაგვიმარტებს გენჭის შეიშჯნლობისა, მოვალეობისა აღმოსაჩენელთა და აღმოუჩენელთა, — ერთის სიტყვით დავივიწყებს, რომ თუ ვინმე აგვნაბრუნებს განათლება, განვითარება და გაკეთილშობილებაო უნდა აგვანთოთ ფურცლები, მოკლებული და გამოჯგილი მხოლოდ ჭკუაში განვეშენიით დაუდევნით ყველაფერმა აღვიარებულთა სასაზოგადოებაში, თორემ დავიღუპებით! ამართლივ უნდა გაიგებთ: არ იყო რომ ამ დიდებულის შეცნობა მოქმედება საზოგადოებისა ყოფილიყო დასხდნენ თავისთავის აქვეს, — მშვიდად წარმოსადგენს საზოგადო საჭიროებას: ერთიერთს დაგვიმტკიცებს, რომ აწინდელი მეტის სიმწვავისა გვხვდება, მაგრამ მოვალეობაც არ შეუძლებია, ჰსრულიად იმედოვნებს!! სხვათა დავინახეთ, რომ რაც ქალიშვილები შემოვიდა ჩვენ სასწავლებლებში, ერთი არ დაგვიჩვენა ყურადღებით; ამასთანავე ამოდენა ფული შეგვიმტკიცა საზოგადოს!... სხვათა კიდევ განგვიმეორებს

დიდხნის შეგნებული ჭეშმარიტება: «სწავლა გვეჭირებაო, შვილები აქა და იქ გავზარდოთო.» თავიანთ ფიქრით კეთილშობილთ შვილნი ხომ დაბინავეს, «გლეხკაცის შვილებსაც უნდა გაუჩინოთ სასწავლებელიო»!! ერთის ლექსით კენჭი დაიწყო სასიქადულოთ, და დასრულდა ჩვენებურათა, მკვლეებურათა.— რომლის მიზეზნი იყვნენ უფრო თერგ დალეულნი.

შემდეგ კენჭისა, დიდმარხვაში, ჩვენთა კეთილშობილთა წარმოადგინეს ცოცხალი სურათები სასარგებლოდ საწყალთათვის, რომელთაც საალდგომოთ არა ჰქონდათ სახსარი ბატკნის სყიდვისა და კვერცხების შეღებვისა. ცოცხალ სურათებზედ ვერას ვიტყვით გარდა მისა, რომ მშვენივრათ წარმოადგინეს, უკეთესად აღარ შეიძლებოდა.

ამ საგანზედ ვრცლათ მინდოდა მოგელაპარაკნა, მაგრამ საჭიროთ აღარ ვსცან, რადგანაც ამ დროს მოაქცია ჩვენი ყურადღება აპრილის «ცისკარმა», რომელიც შემოიტანა ბ..ჭმა.

ერთი რამ ჩემი ყმაწვილური ხასიათი უნდა შეგატყობინო თქვენ, ვიდრე ვიტყვ რასმე

«ცისკარზედა»: რამდენიმე ხანი უნდა ვატრია-ლოთ ხელში და ვშალოთ ცისკარი, და მე პირ-ველათ ამით ვსიამოვნებ, რომ ჩვენმა ოთხის წლის ქალმა ასრე ტანი შეყარა და ასრე ფაქიზათ არის მორთული; და ან შიგ რას მოვიხილავთ ამ ხნის ზამვს, გარდა სისუფთავისა და ტკბილის ლიტერატურისა, მარამ ეს არაფერი ჩვეულება გვაქვს ქართველებსა, რომ რაკი ყმაწვილი ამოიდგამს ენას, მა-შინვე უმაწვილები უნდა ვასწავლოთ. სამ-წუხაროდ ჩვენდა, ცისკარში, წავიკითხეთ ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კისლოვოდგან «შეშლილის» თარ-გმანზედა, რომელიც შეიცავს ოც ფურცელს, და რომელიც არის შედგენილი 1860 წ. ნოემბრის 5 სა დღეს. ამ ორიოდე სიტ-ყვებში ჩვენ ვკითხულობთ ახალებით შეუსა-ბამო სიტყვებს: აქ ნახავთ წირპლიან სხო-ლის, მიგნიტიკურის მიზეზს, რითმების რახარუხს, ულიაგოთ პუნქტია, ალირინდება, წამოკუნკულება და სხვანი და სხვანი. უფ-ლია ჭკჭკავეშე, ავტორი ამ ორიოდ ანუ მრავალის სიტყვერებისა, დაიწყებს იქიდგან, რა გვარათ შეაშფოთებს იმისს სულის «ერთი

მარტოდ კაზლოვის ჲ მის დამალებული ცრე-მლიანი ლექსების გახსენებაც» ჩამოსთვლის კაზლოვის ლექსებს, შავა მათ განხილვაში ჲ ჰპოულობს მათში ბეწვს ოდენას ტალან-ტს; ორიოდე სიტყვით გვაცნობებს მთელის რუსეთის ჲ სხვა ჲ სხვა ქვეყნის მწერლებს: კარამზინს, პუშკინს, ლერმონტოვს, ლუ-გოვსკის, ხერასკოვს, სუმაროკოვს, ბათიუშ-კოვს, ტრედიაკოვსკის, შილერს, შექსპირს, ბაირონს ჲ... მოგვითხრობს სხვანაირულის მწერლების ღირსებას იჯათოყულოთ; და-გვიმტკიცებს, რადგანაც ბაირონმა გაიტაცა რუსეთის ტალანტები! ჲ რამდენი მათგანი ეძებენ ბაირონის გაგლეჯის ქვეყ მა(!)რასაკვირ-ველია არ დაივიწყებს ქართველთ მწერ-ლებსაცა: პირქვე დაამხობს ჩახრუხაძეს თავის ოცმარცვლოვან ტყუპასავით მძიმე ლექსე-ბითა; «ვერ ჰპოვებს მათში, ვერც აზრს, ვერც ხელოვნებას, ვერც მშვენიერებას, ვერც ჭკვას, ვერც გულს, ერთის სიტყვით არაფერისთანა არაფერს, გარდა ზედ მესმეულების რახარუ-ხისა!! არ გაუშვებს გაუფრთხილავათ ეუვ-ზერიევს, სარდიონ მესხიევს, ერთის სიტყვით წინ დაუხედავათ გაურტყელცნია მურდული

ვისაც მოხვდეს მოხვდესო. — რაკი გადავა თვით ყუ. რ. ერისთავის თარგმნაზე, ისეთ წვრილმანებს ეკიდება, ყუ. ჭავჭავაძე, რაჲც არა შვენის ჭეშმარიტს თავის ქუეყნის ენის მოყვარეს. ნამდვილი კეთილის მოსურნე კაცი, ჩუენის ფიქრით თუ რომ ხედავს თავის მოძმის მოქმედებაში რასმე შეცდომილებასა, ხოლო შეცდომილება წარმომდგარა უმანკო მიუხვედრელობისაგამო, თავის დღეში კი არ დასცინებს, — გულიტმკივნელობით დაარიგებს და დააყენებს კეთილის გზაზედ. ყუ. ჭავჭავაძე არ მისდევს ამ კეთილგონიერ კანონს. იგი მოიყვანს რამდენსამე ს. ტყუფნს ყუ. ერისთავის თარგმნიდამ; ბოლოყულობს შეცდომილებებს წინააღმდეგ დრამატიკის წესდებულებისა, აზრისა და ლექსთ წყობისა. მერე მიუბრუნდება მთარგმნელს და სწერს იმ გვარათ, როგორათაც დამბეგვი ნაცვალს ამბობს ზმანებაზე: თავადო ერისთავო! ესა და ეს სიტყვა, რომ აქ დააკუნტეთ რა გინდარახვა გქონდათ? ამით შენს ლექს ვერა შემატყობთ, რაც არ დასხ..ჩრე თავი მახინჯი ნამდვილიცა, და უკანასკნელად — დაამზე ჯიშრობის ხანდელიცაო. ამას არ სჭირდება

უფ. ჭავჭავაძე; ხედავს საშინელს სასაცილოებას სიტყუჱბში: «ეგრეთ ჩაფლიყული ოცნებაშია; ჩემი ცხენები როგორც შეშლილნი, და სხუანი. დიდის ღრეჭით ანბობს: აჰა თქუჱნი ჭირიმე ოცნება რა ტკბილია, რომ ჩაფლობა შეიძლიებოდესო! დანთქმული ეთქო კიდე ჰქო; ცხენები შეიშალნენ ჭკუიდამ ხომ არიან; თავი იფიქრებდა, თუ იფიქრებდაო, ფეხები ხომ არიან, რაღა თქმა უნდა მაგასა» ჩუჱნ უფ. ერისთავის სიტყუჱბში სასაცილოს ვერასა ვხედავთ. ზრდა-ერთუთ სიტყუჱბის გამოკიდება არ არის კარგი თუ უ. ჭავჭავაძის სტატიაში ვხედავთ იმ გვარვე სასაცილო სიტყუჱბსა, რომლისათჳს იგი განკიცხავს ერისთავსა. «მაგალითებრ: ცრემლიანი ლექსები, გაზერილი წიგნი, ზაირონწა ბგერი ტალანტები გატაცა, გაზეპილი თავიდგან ფეხამდინ უნიჭოებითა, მდუღარე ტყუა ჰსცვა თვალთაგანი და სხუანი. კნ. ილია ჭავჭავაძის სტატიის კითხვით გამოკვტანქთ ის დაწმუნება, რომ მას გაზეთებზე და სხუა რუსეთის მწერლებზე თავისი საკუთარი ახალი აზრი არა წარმოუთქჳამს რა. რასაც ის ანბობს, იცის არა

თვით იმან, ვისაც რამ მიუღია ცოტაოდენი სწავლა, თვითქმის მესამის კლასის გიმნაზიის მოწაფეებმა, რომლებთაც უჭირავსთ ხელში რუსული ქრისტომატია გალახოვისა და მისი სხოლიოები.

უფ. ჭავჭავაძეს, არათუ ვერ გამოუხატავს კეთილშობილურად საკუთარი აზრი, თვითქმის სხვის აზრიც გადმოუღია ქართულად ისე ზნელათ, რომ ისეთი ნიჭიერი კაცი უნდა იყოს როგორათაც თვით ილია ჭავჭავაძე, რომ გაიგოს რამე.

აქ დასამტკიცებლათ ჩემის სიტყვისა მოვიყვან რამდენსამე ალაგს უფ. ჭავჭავაძის სტატიიდგან, მაგალითებრ: «როცა გაგვახსენდება კაზლოვი და მისი პოეზია, თუკი არის პოეზია მისს დამალებულ ცრემლიან ლექსებში, როცა გაგვახსენდება, მაშინვე ენაზედ მოგვადგებიან ჩუჱნ სასიქადულო რუსთაველის სიტყუჱბი, მხოლოდ ჩუჱნებურადვე დავიწყობთ ხოლმე?(!!!) ანუ: კაზლოვი იყო ვარამხნის სხოლის მწერალი, არამცთუ მარტო თავის ლექსებს კაზლოვმა შეჰყარა ჭირი იმ წირპლიან სხოლისა, არამედ სხუა და სხუა პოეტებსაც, რო-

მელითაცა ჰსთარგმნიდა და რომელითაცა სრულ არა ჰსცვიოდათ მალიად გაჭიმულ პაწაწინა გრძნობის უმარილო ცრემლი კარამზინსავით და მის მიმყოლთ კაზლოვისავით... «!!! ანუ». ბაირონმა ბევრი ტალანტები გაიტაცა, არა პოეტს თვითქმის არ დაუბადნია მბაძავნი იმოდენა, რამდენიც დაჰბადა ბაირონმა ევროპაში და ნამეტნავად რუსეთში, თუმცაკი სატანის სხოლის თავადად უხმობდნენ თანამედროვენი ბაირონისა.»

რაც ამგვარი ალაგების სრულ რომ გამოვსწერეთ, ყუ ჭავჭავაძისა არიელს, მოგვიხდება მრთელიათ სტატიის გადმოწერა.— ერთის სიტყვით ის ქართველი, რომელმაც იცის მხოლოდ ქართული, ყუ. ჭავჭავაძის სტატიიდგან ვერას მიხვდება.

ამაოდ ამცრობს ყუ. ჭავჭავაძე ჩახრუხაძეს, რომლის სახელი და დიდება აქამომდე არ გამქრალა. დიდი ანტონი, რომელმაცა, ვგონებ ცოტაოდენ უკეთ იცოდა ქართული ენა, ვიდრე ყუ. ჭავჭავაძემ, აი რას იტყვის ჩახრუხაძეზე:

«ჩახრუხაძის მე, უცხო პიიტიკოსი;
თამარ დიდის მგოსნი შაირებითა,
შოთას შაირთა, თუ ვსთქვა უკეთესადა,

მთქმელი მესტიხე, დიდი სიბრძნის მოყუარე,
ყოვლად საქები, რიტორთ მესტიხეთ გვრგვნი.»

ახლა ვკითხავ კნიაზ ჭავჭავაძეს, თუ თვ-
თონ ცხადად ვერ შეიძლო გადმოეთარგმნა
სხვს აზრებისა როგორცა გაბედა, რომ გან-
კიცხა ერისთავი მოუხერხებელი თარგმნისათვს.

უფ. ჭავჭავაძეს შეუძლიან მოიხადოს
ბოდიში ამით: პირუმლით, რომ მას თავის
სტატია უმზადებია მომავალი ნოემბრის თვისა-
თვს ეს არის ექვს შვიდის თვს განმავლობა-
ბაში კარგათ მოუფიქრებია და ცხადათ გამო-
ეთქო ზოგი ერთი ძნელი ადგილები; მეო-
რეთ ამით, რომ უფ. ჭავჭავაძეს, როგორც
შეგვატყუა, თავის სტატია დაბეჭვდამდის
ბევრთათვს წაუკითხვია და ყველას ერთობ
მოუწონიათ.—

უფ. ჭავჭავაძე ხსენებულის სტატიას და-
სრულებს ესრეთ: «თუ მკითხველი ყურადღება
ჩუენ სტატიას, მისთან ბოდიშს ვიხოვთ ჩუენ.
იქნება იგი ჩუენს სტატიაში ერთის ჭკვა-
ნაურს განხილვას ელოდდა და ვერა ჰპოვა.
რა უყოთ? როგორიც ლუდელია ისეთიც
ერიაო, ანბობს ქართული ანდაზა; როგორიც
ჰქონდა იყო ნათარგმნი, იმისთანაც, ღვთის

წყალობა თქუენა გაქუთ, განმხილველიც შეჰხედა?..

ამ უკანასკნელი ჭავჭავაძის სიტყუებმა თვალწინ წარმომიდგინა ის მოხუცებული კაცი, გახსოვსთ? კვრა საღამოს, სალაყბოზე ტივის ხეებზედ როდ ჩამოჯდებოდა ხოლმე და იტყოდა: „ჩემ ყმაწვილობაში თელეთის ხევხუევებში, იმისი მადლი გწყალობდეთო, სადაც ხშირათ შევხვედრივარ ვეფხვებსა, ბევრი ლეკი მომიკლავსო.» ბოლოს ამას დაატანდა თავის სიტყუებს: «თუმცა რიგი არ არის ჩემი თავი მე ვაქოვო; მაგრამ თუ მე არა ვთქვა, თელეთის კლდეები ხმას არ იტყვანო; და იქ სხუა მოწამე არა მყოლიაო.»

ზემო აღნიშნულის სტატიის გარდა, აპრილის თვის ცისკარში არის სამი ლექსი უფ. ილია ჭავჭავაძისა: თ. ალექსანდრე ჭავჭავაძეს, ალბომში, და გაზაფხული. — ამით თითქო უფ. ჭავჭავაძე უჩუენებს ლექსთ მწერალთ, რაგუარათ უნდა სწერონ. პირველს ლექსში, ესე იგი: «თ. ალექსანდრე ჭავჭავაძე». წერტილები უმრავლესია სიტყუებზე. აბა მწერლის საიდუმლოებას ჩუენ რას მივხვდებით! მეორე ლექსი, ესე იგი «ალბომ-

ში.» ცოტა არ არის რომ გრძელია; საღი-ზომო ლექსი უნდა იყოს მოკლე და დიდ აზროვანი და არა ლექსები იმ დასტალოყულე-ბითა, როგორათაც აქვს ილია ჭავჭავაძეს:

«ან შენ მაშინ რა იცოდი
«ან შენ გიჟმა რა იცოდა?

«გაზავხულში «პოეტი სულით ნატრობს საყვარელი მამულის აყვავებას. ნეტავი დაანახვა ეხლა, საქართველო როგორ მწვანე ხავერდივით ბიბინებს!!!

აქ კიდევ მინდოდა მეთქო რამე სხვათა შესანიშნავთა საგანთათვს, მაგრამ შემდეგ ნოემბრისათვს დარჩეს, რადგანაც ეს წიგნი გაგრძელდა და თქვენს ჟურნალში ადგილიც აღარ არის. —

თ. გიორგი ბარათოვი.

---

პასუხი თავადი ილია ჭავჭავაძის კრიტიკისა.

---

ცისკრის ამ აპრილის წიგნში წავიკითხეთ თავ. ილია ჭავჭავაძისაგან კრიტიკა ჩვენგან თარგმნილის კაზლოვიდგან «შეშლილზედ». ჩვენ არათუ გვეწყინებოდა, დიდის სია-

მოწვნითაც მივილებდით ყოველს კეთილ სა-
ნიდისიანს განხილვას: ჩუენი საყვარელის მშობლიური ენის წინააღმდეგთ ლექსთ ხმარების მხილებას და სხუათა შეცდომილებათ გამართვასაც; (თუმცა თავ-ჭკვაჭკვავამე სხუათ მრავალთ ცალის წამყებაებთან ამასაც გვწამებს რომ, ჩუენ არც სამშობლო მამული გვიყვარდეს და არც ჩუენი ენის პატივისცემა გვქონდეს;—ესე ღმერთმა აპატიოს, ლაპარაკათ არა ღირს.) მაგრამ ჩუენდა სამწუხაროდ, თავ ჭკვაჭკვავმას კრიტიკაში ჰსჩანს მომატებულათ ჩუენი ლანძღვა, ვიდრე რიგიანი განხილვა და შეცთომილებათ გამართვა. საბრალო კარამზინო! გაზლოვე და ჩასწყუსამე ხოლო რაღა—საცლოავიდამ არიან ამოყრილნი; სხუა ვიდეგ ჰო, კარამზინსვე ისე უპატიოთ ხსენება არ ეშესაბამება, იმას იმისთანა უსაფუძვლო სიტყუებით ვერავინ მიუღებს თავისის შრომით, ჭკუით და განათლებით მოპოვებულს და დამკვდრებულს ღირსებას გამოჩენილის მწერლისას რუსეთში, იმისის ღვაწლის შერყევას უბრალოთ ნურავინ ეცდება.

მტყუობა, მალიან ზავრიანი აგებულებისა

ბძანებულა თავ. ჭავჭავაძე; ემძავათ, აკი იმ დროს წაუკითხავს ის ჩვენგან თარგმნილი, რომლისაც ზაფრა ჰქონია აშლილი და ჯავრი ჩვენზედ უყრია; თორემ ვჰგონებთ სხვანიც ცისკრის მკითხველნი ვისაც წაუკითხავს და ან ეხლა წაიკითხავს, ჩვენს ნათარგმნს დაგვეთანხმებიან, (თუმცაკი კაცმოყვარებისაგამო შველის აფერთხილებს თავ. ჭავჭავაძე და ურჩევს « ვისაც არ წაგვიკითხავსთ ნუ წაიკითხავთ თორემ ნაღველთ გაგისქდებათო.) რომ ენის წინააღმდეგათ ისეთი დიდი შეცდომა არა არისრა ჩვენს ნათარგმნში, რომ იმისთანას ლანძღვისა და კიცხევის ღირსნი ვიყვნეთ; რომელს ნამდვილ გაზდილს კაცს შეჰფერება იმ გვარათ ილანძღებოდეს, ან იხუნჯობდეს? თავ. ჭავჭ. ბძანებს «ქართველებს სამი რამ დაგვრჩენია ჩვენთ მამაპაპათაგან: მამული, სარწმუნოება და ენაო» — მეოთხესვე ივიწყებს: ჩვენთ წინაპართაგან ნაანდერძევს — ზრდილობასა — ვაი, დარბაისელთ ამოწყვეტას!

ბატონს ჩვენს გამკიცხავს გამოუწერია შიგა და შიგ ჩვენის ლექსებიდამ ზოგი ერთი ისე გადარიახებულათ, რომ საკადრისა

არ არის; სხუათა შორის დიდს ჩირქიანობათ მიაჩნია «ოცნებაში ჩაფლვა, — ვჰგონებთ «ბრაზ-ბაზრუხი და წირპლიანობა» ყურო ყვადრისი და ყარგისი ლექსები იყვნენ?

«ძველი კარის ბჭეში კანდელი ბჟუტავს,
მის სიახლოვეს ვიღაცა სუნთქავს;
იქნება მგზავრი შეჰფარებოდეს
სიცივისგამო იქა თბებოდეს.»

ამაზედ სასაცილოდ გვიგდებს, თავმოწონებული ოხუნჯობს და აქვს ერთი ყოფა უ. ჩუენს კრიტიკოსს; — არა, ჩემო ბატონო, ძალიან ნუ აჩქარებულხართ! დიახაც შეიძლება ვაცს სუნთქვა არ ესმოდეს ისე მოშორებით იმის სულიერზე, მაგრამ ჰხედავდესკი, რომ სუნთქავს ცხოველი, ამაზე სხუანიც დაგვეთანხმებიან: აი, ბატონებო! — გზის პირზედ საყდარი დგას, დანგრეულის კარის ბჭეში კანდელი ანთია, რომლის მახლობლათაც ჰხედავს მგზავრი ვიღასაც, რომელიც სუნთქავს და ჰსჩანს კანდლის შუქზედ სუნთქვის ორთქლი, რომელიც დიახ ადვილად დასანახავია ზამთარში. თუ ჯერ არსად დაუნახავს უ. ჭკვაჭკვამეს; იმ დროს ჩუენ მგზავრს არცარა თვალებზედა აქვს დაფარე-

ბულია; როგორც თუ, ჩჳენგან თარგმნილის, წამკითხავი დარწმუნდება: ჩჳენო მკითხველო! ახლა თქჳენ განსაჯეთ რა შეუძლებელია, აქ რა შეცდომაა, რა სამასხარაოა? თავ. ჭავჭავაძე წინ და წინვე ზმანებს: «ეს რაც უნდა გვარწმუნოთ არ დაგიჯერებთო» — მალის დატანება ვის შეუძლიან, ესეც რომ აიხიროს დღე ნათელი არ არისო ვინ დაუმტკიცებს.

«დილით თუ ღამე ვფიქრობ მასზედა,
ცრემლი არ მშრება არც ერთ თვალზედა.»

გვკითხავს იგივე «რა ნუგეშია რომ ერთ თვალზედ შეშრეს მეორიდამკი ჰსცვიდეს ცრემლებიო?» — ეს სწორეთ ის გახლავსთ: «ნათქვამია მიზეზ-მიზეზ, — დოს მარილი აკლიაო!» — ხან იმას წყრება დალოცვილი ჭავჭავაძე თავისის «მეხი-სიტყვით» შეშლილი ჭკვიანურათ რათ ლაპარაკობსო, და ახლა ამაზედაც ჯავრობს, რატომ რიგიანათ არ უთქვამსო! — რა გაეწყობა, რავი კაცს სურვილი ექნება კაცის გალანძღვისა ბევრს დაუნახავს დაინახავს, უმიზეზოდ მიზეზსაც იპოვნის, მაგალ. როგორც აქ:

« — მის საშინელსა ჩემსა ტანჯჳასა.» და არა «ჩემსა ტანჯვასა» როგორც უ. ჩჳენს

კრიტიკოსს გამოუწერია; (ნუ გეგონებათ, ჩუენო მკითხუელო, აქ ან დამბეჭავის ზრალი იყოს.) ამაზედაც ლაყლანდარობს, ცეკოს ყვლის და დიდი ჴელ-ფეხის ქნევა აქუს; აკი მოგახსენეთ, ზედ არ ეტყობა? ისე გაძავრებული ზმანებულა, რომ ყ და ე ვერ გაურჩევია; რა სასიქადულო მშობლიური ენის სიყვარულია! სხუასაც ბევრს ამისთანა ჩინჩხვრებსა ჰკრეფს ყ. ჩუენი კრიტიკოსი, მაგრამ ჩუენ არ გამოვეკიდებით, რომ თჳთვეულის ლექსზედ და ასოზედ თავი გავიმართლოთ, დეე სხუათა ჰსაძრონ ჩუენ შორის.

ამასთანავე ყ. ჭავჭავაძე ჰყვედრის ყ. ცისკრის რედაკტორს, რომ ამ გვარს უშვერს სტატიებსა ჰბეჭდავს, თანვე ამართლებს, ვითომც ჩუენი ეშინიან და არ შეუძლიან უარი ჰყოს უარგისის სტატიების დაბეჭვდისა, ამაზედაც მე არას მოვახსენებ, იქნება თჳთ ყ. რედაკტორმა გასცეს პასუხი. იმაზევე ჩუენც დავეთანხმებით თავ. ჭავჭავაძეს, რომ როგორათაც «შეშლილი» ისე «ჰაჯი-აბრეკი» დიდი შესამჩნევნი არა არიანრა ჩუენის ლიტერატურისათჳს. ჩუენ არც იმაზე გავწევთ ბაასს, რომ ამ ათის წლის

წინათ ჩუენგან თარგმნილში შეცთომაები არა იყოსრა იმისთანა, როგორიც თჳთეულს ჩუენგანს ეხლაც შესაძლებელია ხშირათ მოუვიდოდეს; იქნება თჳთ ჩუენი კრიტიკოსიცკი ბძანდებოდეს შეპყრობილი ამ გვარის სენით; მაგრამ ჩუენ ხომ ვერ გაუბედავთ კრიტიკის დაწერას, მეორეთ უფრო უშვერათ რაღაათ გავჱლანძღჳნოთ, ან სოფლელი კაცი ვინა და სტუდენტთან ბაასის გაწევა! — თუ თითონვე გულდამშჳდებული თვალს ჩაავლებს თავის დაწერილს, ვჰგონებთ, შენიშნოს რომ იმდენი ჭკუისა და ვეხის ქნევაში ადგილ-ადგილ წაუბორძიკნია.

თავ. ჭავჭავაძე ამასაც ბძანებს: «ჩუენ სულ მამაპაპურმა ტკბილმა მილმა დაგვლუპაო.» — ამაზედკი თუ ნებას მოგვცემს ვერ დავეთანხმებით: — ზემოხსენებული აზრი მხოლოდ იმისთანა კაცს ექნება ჩუენთ მამაპაპაზედ ვინც დაუფერებლად, დროს მიუხედავათ, და მაშინდელით გარემოებათ გაურჩევლათ მოჰყვება ჰსჯასა; თუ ჩუენს ისტორიას ჩავათვალიერებთ და უწინდელით სახსოვრებსაც გავსჩხრეკთ დავრწმუნდებით, რომ არც ერთ დროს უქმათ არა ყოფილან ჩუენნი წინა-

პარნი, მილის დროსაც მართლა მოსვენებით არა ჰსმანებიათ; ჩვენის აზრით არათუ კიცხვსა, დიდის დიდებისა და მადლობის ღირსნი არიან.

რაც შეეხება ზმნების ნაკლულევანებას იმ ადგილებში, რომლებიც გამოუწერია თავ. ჭავჭ. ჭეშმარიტია, მაგრამ ისრე არსად აკლია, რომ აზრი არ გაიგებოდეს; თუ კი თავ. ჭავჭ. სულ ამოხოცას აპირებს ჩვენის ანბანიდამ ექვსის ასოსას, რომელნიც თჳთვე გამოუწერია, ჩვენის მხრითაც ვგონებთ დიდი შეცოდება არა იყოსრა არსებითი ზმნის დაკლება, სადაც აზრი ცხადად გასაგონია.

ამას გარდა ზოგი ერთის გამოხატულებისათვის, რომელნიც უხმარია თავ. ჭავჭავაძეს იმის შესაფერის პასუხად ჩვენც გვინდოდა ვეფხვის-ტყაოსნიდამ გამოგვეწერა, (კბ) მუხლი, მარამ საჭიროდ აღარ შევრაცხეთ.

მხოლოდ ამასღა ვსთხოვთ ჩვენს შეუბრალებელს გამკიცხავს გაგვაგებინოს «შიგნიტიკური» სადაური ლექსია, ან რას ნიშნავს? საკვრველი არ არის არ გვესმოდეს

ჩუჱნისთანას ყარგისის ენის პატრონს. «ორგინალი, სენტიმენტალური და პლასტიკაც-კი რომ განემარტნა როგორათაც კონსტრუქცია და კაპიტალია ჩუჱნ ქართუჱლთათჳს ყურიგო არ იქნებოდა; თჳთ თავ. ჭავჭ. ყუშვერებათ მიაჩნია რუსულის ლექსების ხმარება, რომელნიც ზოგი ერთებს უხმარიათ, მაგალ. ლინიები, ოსტროვები და სხ. მართალია ეს ლექსები ქართულის ენაში სახმარებელნი არ არიან, მაგრამ ამაზედ ვერ დავეთანხმებით, რომ ყუშვერებათ შესარაცხი იყოს. ეტყობა «ყუშვერება» თავ. ჭავჭ. სხუა რიგათ ესმის და არა ის, რაც მნიშვნელობა აქუს ამ ლექსს.

ჩუჱნის მხრით, მაინც კიდევ მადლობას განუცხადებთ თავ ჭავჭავაძეს, რადგანც ვგონებთ, გულის მოდგინედ ილვწის ჩუჱნის ენის წარმატებისათჳს; იმედი გვაქს მარტო ჩუჱნის შეცთომების მხილებაზე არ შეაყენებს თავის «ენიანს ენას და მეხის-კალამს», რომელიც უპყრიეს ჴელოვანს-ჴელსა და განაგრძელებს სხუათაცა შემდგომთა სტატიების განხილვასა კეთილ სინიდისიანად, აუჩქარებლათ და არა უკადრისის ლანძღვით.

თავ. რევაზ შალვასძე ერისთავი.

აპრილის 30-ს. დღეს 1861 წელს. ს. გ.

## დიდი ჩვეულება გვინეაში.

მისმა დიდებულებამ ბადაგუნმა, დაღომეიისის კაროლმა სახსოვრად თვისის მამის, გეცისა კარო-ლისა, მოინდომა დღესასწაულობა წრევანდელს წელს დიდის ჩვეულობისა, განსაკუთრებითის დიდე-ბით. მან უბძანა გაითხრა აუზისა, რომელშიდაც ჩავიდოდა იმდონი კაცის სისხლი, რომ აიცურვე-ბოს ნავი. რიცხვი კაცთა, რომელთაც უნდა მის-ცეს ეს სისხლი შეადგენს ორი ათასს. რადგანაც ბადაგუნს არ ჰყავს ესოდენი მრავალი ხალხი, ამისთვის გზავნის თვის ჯარებს დასამორჩილებელათ სუსტთა მეზობელთა მტერთა, მით რომ იშოვნონ იმათგან მომტყვებულნი ტყვენი. მას სურს გაყოს ტყვენი ორს ნაწილად; მოხუცებულებით და უმა-წვილებით; პირველნი იქნებიან განსყიდულნი, ხოლო უკანასკნელნი შეწირულნი მსხვერპლათ დიდის ჩვეულებისა.

მიხეილი ნაკაშიძე.

# ქინაქინა.

ქინაქინა არის ერთი მძვირფასთაგანი მცენარე ვითარცა წამალი ციებისა. ეს არის დიდი ხე, რომელსაც აძრობენ სამკურნალო ქერქს. ძველად ამა ქერქს აძლევდენ ავათმყოფებს უბრალოდ დანაყილს; მაგრამ ახლანდელს დროში ამა ქერქი-სგან მზადდება მჟავე გოგირდიანი (ქერქი) ქი-ნაქინა. ეს არის ერთი მძვირფასთაგანი წამალი, ამისთვს რომ ტყეებთა შინა სამხრეთის ამერიკისა ეს ხე იპოვება იშვიათად და მის საშოვრად კაცი უნდა წავიდეს უდაბურს ტყეში. ეს ხე რომ გამო-წყვარიყო, მაშინ კაცს აღარ ექნებოდა პირ და პირ საშვალება წინააღმდეგ სასტიკის სნეულებისა — ციებისა. კაცობრიობის მეგობართა იწყეს შიში, მაზედ რომ ქუეყანა დარჩება თვინიერ ქინაქინის ტყისა. ახლა ეს შიში მოისპო, ამისთვს რომელ მიღებულ არიან ნამდვილი ღონისძიებანი. პირის-პირ ქინაქინის. გაწყობისა დაიწყეს. შენება ქინა-ქინის ტყეებისა. გოლლანდიის მმართებლობა თა-ვის კუნძულზედ ხარჯავს ბევრს ფულს ამ ხის გასამჯენებლათ. ახლა ახალგაზდა ქინაქინის ხეები გაიზარდენ იქ თითქმის სამ საჟენ სიმაღლეზედ

კარგმა მაგალითმა ჰპოვა კარგი მიმბაძველი: ერთმან პარიჟის საზოგადოებათაგანმან დაუნიშნა დიდი ჯილდო ამ ხის გასამყნებლათ ევროპაში, თუმცა უმჯობეს იქმნებოდა, რომ ეზრუნა ამ ხის გასამყნებლათ არა ევროპაში, არამედ ალჟირიაში, სადაც ჰაერიც უმჯობესია მისთვის.

პ. ჩხეიძე.

---

### გასწორება შეცთომათა, ცისკრის ვებერვლის №-ში.

| დაბეჭდილია | | | წაიკითხე. |
|---|---|---|---|
| გვერდი. — | სტრიქონი. — | | |
| 322 | 10 | ყადი . . . | ყადს. |
| 323 | 16 | მარამ დროებითა. | მარამ ამ დროებითა. |
| „ | 18 | ვპოვნი . . . | ვიპოვნი. |

რედაქცია.